პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 27 ივნისი, 1951 წ. № 149 (9008). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები (1-ლი გვერდი).
უკრაინული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში (1-ლი გვერდი).
პარტიული ჯგუფები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ (მე-2 გვერდი).
მ. სარჯველაძე — ჩაის ფაბრიკები ახალი ამოცანების წინაშე (მე-2 გვერდი).
კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა (მე-2 გვერდი).
მეტი და კარგი წიგნი მკითხველს! (მე-3 გვერდი).
ს. ჭილაია—„ხევის პატარძალი“ (მე-3 გვერდი).
ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ალბანელი ხალხისადმი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
დემოკრატიული გაზეთები დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირის ჩაშლის შესახებ (მე-4 გვერდი).

# უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანა

ყოველდღიურად ძლიერდება მოსავლის აღების ტემპი. კახეთის რაიონებში პურეულს მასობრივად იღებენ. მალე მოსავლის აღება დაიწყება ქართლში, მესხეთსა და ჯავახეთში. ბევრგან ხორბლის უხვი მოსავალია. ყვარლის, ლაგოდეხის რაიონების მთელი რიგი კოლმეურნეობები ჰექტარზე 20-25 ცენტნერ ხორბალს იღებენ.

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, დიდი სტალინის მზრუნველობას სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის საქართველოს კოლმეურნე გლეხობა, საკოლმეურნეო სოფლის მუშაკები უპასუხებენ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით, მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ აღებით. მოწინავე კოლმეურნეობები პირველ განალეწ საუკეთესო ხარისხის ხორბლეულს სახელმწიფოს აბარებენ. მარცვლეულით დატვირთული ავტომანქანები შეუწყვეტლივ მიემართებიან დამამზადებელი პუნქტებისაკენ.

მოსავლის აღება დიდად პასუხსაგები სამუშაო პერიოდია. პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და დამამზადებელი ორგანოების ამოცანა ის არის, რომ სრულად და სწორად გამოიყენონ მთელი მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსები, მოახდინონ სოფლის მეურნეობაში არსებული შინაგანი რეზერვების მაქსიმალური მობილიზაცია ხორბლეულის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის, ყველა სხვა მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს მაღალ აგროტექნიკურ დონეზე შესრულებისათვის.

კომბაინი პურეულის აღების ძირითადი მანქანაა. მოწინავე კომბაინერთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვაში 1935 წლის 1 დეკემბერს ამხანაგი სტალინი ამბობდა: **„კომბაინის მნიშვნელობა ის არის, რომ იგი გვეხმარება დროზე ავიღოთ მოსავალი. ეს ფრიად დიდი და სერიოზული საქმეა, ამხანაგებო.**

**მაგრამ კომბაინის მნიშვნელობა ამით არ განისაზღვრება. მისი მნიშვნელობა კიდევ ის არის, რომ იგი დიდძალი დანაკარგისაგან გვიცავს“.**

საჭიროა უზრუნველვყოთ კომბაინების შეუფერხებელი მუშაობა, თვითეული კომბაინერის მიერ გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. მოწინავე კომბაინერები საათობრივი გრაფიკით მუშაობენ, მოსავალს უდანაკარგოდ იღებენ და მაღალ საწარმოო მაჩვენებლებსაც აღწევენ. პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან სათავეში ჩაუდგნენ კომბაინერთა, ტრაქტორისტთა, სალეწ მანქანებზე მომუშავეთა სოციალისტურ შეჯიბრებას, ფართოდ დანერგონ იმ მოწინავე ტრაქტორისტებისა და კომბაინერების მუშაობის გამოცდილება, რომლებმაც კომბაინების მაღალნაყოფიერ გამოყენებას მიაღწიეს.

მოსავლის აღების პირველ დღეებში გამოვლინდა მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი კომბაინების გამოყენების საქმეში. ყვარლის რაიონის ენისელის მტს-ში ტექნიკური მოუწესრიგებლობის შედეგად ხშირია კომბაინისა და ტრაქტორის მოცდენა. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ყარსუბნის გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში გამგეობის ცუდი მუშაობის შედეგად ულიანოვკის მტს-ის კომბაინერი გ. კალაშვილი ხშირად მომცდარია. რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა კომბაინების მუშაობას მუდმივი კონტროლი უნდა გაუწიონ და მიაღწიონ მოსავლის ასაღები ამ პირველხარისხოვანი მანქანების სრულ გამოყენებას.

ამასთან საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ მოსავლის ასაღები ყველა მარტივი მანქანა, უზრუნველვყოთ ამ მანქანებისათვის დაწესებული გამომუშავების ნორმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. მარტივი მანქანებით მომკილი პურეულის ლეწვა მისი აღებისთანავე უნდა დაიწყონ. საჭიროა მოეწყოს სალეწების მუშაობა სრული დატვირთვით დღეღამეში სულ მცირე 20 საათის განმავლობაში, ფართოდ დაინერგოს ლეწვის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება.

მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. ეს ნიშნავს, რომ არ დავუშვათ პურეულის გადამწიფება, ყველა აღებულ ფართობზე მომკისთანავე აუცილებლად მოვაწყოთ დარჩენილი თავთავების მოფოცხვა. სამწუხაროდ, ზოგ რიგ კოლმეურნეობებში ეხვდებით პურეულის დანაკარგს. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ბოლქვის ხეთაგუროვის სახელობის კოლმეურნეობაში მოსავალს უგეგმოდ იღებენ, დანაკარგების წინააღმდეგ არ იბრძვიან. ისეთ ნაკვეთებზე, სადაც ყოველ კვადრატულ მეტრზე 15-20 თავთავია, პირუტყვი შეუშვეს. ყვარლის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოსავლის აღების შემდეგ თავთავებს არ კრეფენ. მსგავსი ფაქტები სხვა რაიონებშიც არის. ასეთი მდგომარეობა შეუწყნარებელია. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ზუსტი კონტროლი უნდა დააწესონ მოსავლის აღების სამუშაოთა ხარისხისადმი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ მოსავლის აღების ჩატარებისას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დანაკარგებთან ბრძოლა, და პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისაგან, მტს-ების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ მიიღონ საჭირო ზომები მოსავლის აღების, მარცვლეულის გადაზიდვის, დამუშავებისა და შენახვის დროს დანაკარგების თავიდან ასაცილებლად.

დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციასა და აღრიცხვას. უნდა დაწესდეს ზუსტი კონტროლი კოლმეურნეთათვის შრომადღეების დროულად და სწორად დარიცხვისადმი მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის შესაბამისად, მოეწყოს პურეულის ცალცალკე აღრიცხვა საწარმოო ბრიგადების მიხედვით, რათა უზრუნველყოფილ იქნას კოლმეურნეთათვის და მტს-ების ტრაქტორისტებისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების მიცემა მოსავლიანობის გადიდებისათვის, აგრეთვე შრომადღეების დამატებით დარიცხვა და ჩამოწერა ბრიგადების მიერ მიღებული მოსავლის გათვალისწინებით.

სოფლის მშრომელთა ღირსების საქმეა მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა რაიონმა, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულოს პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. აუცილებელია უზრუნველვყოთ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მუდმივი მონაწილეობა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებაში მათ მიერ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის მთლიანად შესრულებამდე. მუდამ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის მითითება: **„...ნუ მოაკლებთ ყურადღებას მთავარ ამოცანას, გაშალეთ პურის დამზადება მოსავლის აღების პირველივე დღეებიდან და დააჩქარეთ იგი, ვინაიდან პირველი მცნებაა პურის დამზადების გეგმის შესრულება“.**

დამამზადებელმა ორგანოებმა, პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში მიტანილი პურის შეუფერხებელი მიღება, არ დაუშვან საავტომობილო და საჭაპანე ტრანსპორტის მოცდენა პურის ჩაბარების დროს და მკაცრი კონტროლი დააწესონ მარცვლეულის წესიერი დაბინავებისადმი, სახელმწიფო პურის დაცვისა და უკლებლივ შენახვისადმი.

მოსავლის აღებისათვის მზადების უსწრაფესი დამთავრება, მოსავლის აღების სამუშაოთა წარმატებით ჩატარება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმის დროულად შესრულება, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სრული უზრუნველყოფა საკუთარი თესლით და საფურაჟე, სადაზღვევო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების შექმნა ყველა პარტიული ორგანიზაციის, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და სოფლის მშრომელთა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაა.

სოციალისტური შეჯიბრების მთელი ძალა წარვმართოთ ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრისათვის.

# ჩვენს რესპუბლიკაში

**რუსთავი.** მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგის საამქროში. **სურათზე** — უფროსი ოპერატორი მიხეილ ამბოკაძე საოპერატორო პუნქტზე.

ფოტო ვ. განზბურგისა

## 10 ჰექტარზე 32 ტონა ხორბალი

**ლაგოდეხი.** (საქ. კორ.). სოფელ საქობოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადამ, რომელსაც ნინო ბებრიშვილი ხელმძღვანელობს, პურის უხვი მოსავალი მოიწია. მოსავლის აღების დაწყების პირველ დღეს ამ ბრიგადაში კომბაინერმა ნ. მარკუშინმა 10 ჰექტარზე მომკა პური. მიღებულია 32 ტონა ხორბალი. ასეთი მოსავლის მომცემი ფართობები ბრიგადაში 75 ჰექტარია.

მოსავლის აღებაში ბრიგადირს ხელს უწყობენ სტახანოველი მკელები ვ. ბაკაშვილი, მარიამ კაკაშვილი, ელენე ცაკოშვილი და ანეტა ხარაზიშვილი, რომლებიც პურის მკის ყოველდღიურ ნორმებს ერთიორად ასრულებენ.

## პურის ჩაბარება დაიწყეს

**თელავი.** (საქ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა მასობრივად გააჩაღეს პურის მოსავლის აღება. ამ საქმეზე ყოველდღიურად ათასობით კოლმეურნე მუშაობს. კომბაინერთა უმრავლესობა პურის მკის ყოველდღიურ დავალებას 150 პროცენტით ასრულებს. კოლმეურნეები ხორბლის უხვ მოსავალს იღებენ. კურდღელაურის, გულგულის, ართანის, სანიორის კოლმეურნეობები ჰექტარზე 15-17 ცენტნერ პურს იღებენ.

კოლმეურნეობებმა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება დაიწყეს. კურდღელაურის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ივანე მახნიაშვილი) პირველი განალეწიდან „ზაგოტზერნოს“ თელავის პუნქტს 12 ტონა ხორბალი ჩააბარა, წინანდლის სტახანოვის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე მიხეილ ბატიაშვილი) — 10 ტონა და სხვ.

პურის ჩაბარების ტემპი ძლიერდება.

## ვადამდე შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები

**ჭიათურა.** (საქ. კორ.). მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადების ნახევარი წლის გეგმები ხუთ თვეში შეასრულეს სტალინის, დიმიტროვის და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა. უკვე კარგა ხანია, რაც ექვსი თვის გეგმა შეასრულა მარგანეცის ტრესტმაც. ახლა ჭიათურელი მაღაროელები მარგანეცს სამეურნეო წლის მეორე ნახევრის ანგარიშში იღებენ.

მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს უბნებმა, რომლებსაც ზ. სამხარაძე, კ. კაპანაძე, ი. წერეთელი, კ. მჭედლიშვილი ხელმძღვანელობენ. ისინი ყოველდღიურ დავალებას 115-120 პროცენტით ასრულებენ. გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკები ინჟინრების ი. თადუმაძის, ვ. თურქაძის, ა. სხილაძის, ბ. ჩხიკვაძისა და არ. ნიკოლაძის ხელმძღვანელობით.

სტახანოველებიდან სახელი მოიხვეჭეს ძმებმა ტრიფონ და ვლადიმერ ფოფხაძეებმა, აკაკი და ნიკოლოზ გაფრინდაშვილებმა, მ. ჭუმბურიძემ, მ. აბრამიშვილმა, ოთხზის ორდენოსანმა პ. მიროტაძემ, სამგზის ორდენოსანმა კ. ღავთაძემ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა პ. ბოყოველმა და ათობით ახალგაზრდა სტახანოველმა.

**ქუთაისი.** (საქ. კორ.). ივნისის მეორე ნახევარში ყოველდღე ახალ-ახალი საწარმოები ემატება იმ მოწინავე კოლექტივთა წყებას, რომლებმაც ვადამდე გაანაღდეს ნახევარი წლის საწარმოო დავალებანი. ვადამდე და საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს ნახევარი წლის გეგმები მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხნის, საკონდიტრო ფაბრიკის, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის და ქალაქის მრავალი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატის კოლექტივმა, რომელიც ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივთან, 20 ივნისისათვის ნახევარი წლის გეგმის გადამეტებით გამოუშვა 9.000 წყვილი ფეხსაცმელი და შესამჩნევ წარმატებას მიაღწია პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში.

**ცხაკაია.** (საქ. კორ.). საქართველოს სამშენ მასალათა საწარმოებს შორის წელს დიდად დაწინაურდა ცხაკაიას კირის ქარხანა. ქარხნის კოლექტივი წლის დასაწყისიდანვე სისტემატური გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ნახევარი წლის გეგმა საწარმომ 5 თვეში შეასრულა და გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 356 ტონა კირი და 2.550 კუბმეტრი სამშენი ქვა.

**გორი.** (საქ. კორ.). მორიგ გამარჯვებას მიაღწია გორის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც 21 ივნისისათვის ნახევარი წლის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით საგრძნობი რაოდენობით გამოუშვა ახალი ხილისაგან დამზადებული მურაბა და კომპოტი.

განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა ქარხნის მთავარმა საამქრომ, რომელმაც ივნისის დავალება ორ დეკადაში 168 პროცენტით გაანაღდა. მაღალნაყოფიერი სტახანოვური მუშაობის მაგალითებს იძლევიან მარო ყანჩაველის ბრიგადის წევრები — ლიდა ყანჩაველი, მარიამ ბარიშვილი, ქეთუნა ბერიძე და სხვები.

**სიღნაღი.** (საქ. კორ.). სიღნაღის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატს აქვს გაჯის საწარმო. მას დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონში გაჩაღებული მშენებლობის წარმატებისათვის. საწარმოს კოლექტივი წელს კარგად მუშაობს. 15 ივნისისათვის მან უკვე შეასრულა გაჯის გამოწვის ნახევარი წლის გეგმა.

★

## გეგმის გადამეტებით 9.580 წყვილი ფეხსაცმელი

უკანასკნელი თვეების განმავლობაში თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა დიდად გააუმჯობესა საწარმოო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლა და 1 ივნისისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით 9.580 წყვილი ფეხსაცმელი მისცა. მარტო მაისში ფაბრიკის კოლექტივმა 22.529 კვადრატული დეციმეტრი ტყავის ეკონომია გასწია, ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გამოშვებული პროდუქციის ხარისხი.

მაღალი მაჩვენებლები აქვთ ივნისშიც. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაში ივნისის ორი დეკადის განმავლობაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ცხელი ვულკანიზაციისა და საგამომჭრელო საამქროები. საგამომჭრელო საამქროს კოლექტივი ოთხ თვეზე მეტია სათებრიკო გარდამავალ დროშას ინარჩუნებს.

ცხელი ვულკანიზაციის საამქროს ფეხსაცმლის ზედაპირის გადამჭიმავთა ბრიგადამ, რომელსაც კ. ოსიპოვი ხელმძღვანელობს, ივნისის ორი დეკადის დავალება 189 პროცენტით შეასრულა. ბრიგადა მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებს. ფეხსაცმლის საზედაპირეს გამომჭრელთა ბრიგადამ ლ. გებოიანის ხელმძღვანელობით მარტო ერთ თვეში 4.904 კვადრატული დეციმეტრი ტყავის ეკონომია გასწია. ამ მხრივ გაითქვეს სახელი აგრეთვე გამომჭრელებმა ნ. მესტვირიშვილმა და ვ. აირაპეტოვმა.

ფაბრიკის კოლექტივი ღირსეულად აუმჯობესებს მუშაობას.

## ახალი სადგომები პირუტყვისათვის

**თიანეთი.** (საქ. კორ.). გუდანელების მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში დიდ ყურადღებას აქცევენ საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებას. კოლმეურნეები საუკეთესოდ უვლიან პირუტყვს, ზრდიან სულადობასა და პროდუქტიულობას. ახლახან კოლმეურნეობაში დაიწყეს პირუტყვის ახალი სადგომის მშენებლობა 300 ძროხისათვის. სადგომის მშენებლობა წელს დამთავრდება.

მეძროხეობის ფერმისათვის ორ კეთილმოწყობილ ბინას აშენებს აგრეთვე სოფელ ზარიძეების ლენინის სახელობის კოლმეურნეობა.

## ავტომანქანის 50 მძღოლი

**ზუგდიდი.** (საქ. კორ.). ჭელისციხის კულტურის სახლთან შექმნილი იყო ავტომანქანის მძღოლთა მოსამზადებელი წრე, რომელსაც ჭელისციხის მექანიზაციის სკოლის მასწავლებლები ელიზბარ და გიორგი ჭეიძეები, მიხეილ ქალატოზიშვილი და გიორგი რუხაძე ამეცადინებდნენ.

ამ დღეებში მოხდა წრის მსმენელთა გამოშვება. 50 ახალგაზრდამ ავტომანქანის მართვის საქმეში საუკეთესო ცოდნა გამოამჟღავნა.

ავტომანქანის ახალგაზრდა მძღოლებმა მუშაობა დაიწყეს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში.

## უკრაინული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

24 ივნისს მოსკოვში დამთავრდა უკრაინული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა, რომელიც საბჭოთა კულტურის დიდ დღესასწაულად გადაიქცა.

ათი დღის განმავლობაში უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1.500-ზე მეტი მსახიობი, მუსიკოსი, ხალხური გუნდების, ანსამბლებისა და კაპელების მონაწილე, მწერალი და მხატვარი აცნობდა მოსკოვის საზოგადოებრიობას უკრაინელ მშრომელთა დიდ მიღწევებს სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ასზე მეტი სპექტაკლი და კონცერტი გამართეს კიევის, ხარკოვის, ლვოვის თეატრებმა, ხალხურმა გუნდებმა, ანსამბლებმა და სხვა სამხატვრო კოლექტივებმა, ხელოვნების ოსტატებმა. მოსკოველებსა და მოსკოვის ოლქის ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში მოეწყო მუშებისა და მოსამსახურეების შეხვედრა უკრაინის მსახიობებსა და მწერლებთან. უკრაინის თეატრებისა და სამხატვრო კოლექტივების რეპერტუარში იყო უკრაინელ და რუს კლასიკოსთა პიესები, საბჭოთა მწერლებისა და კომპოზიტორების ნაწარმოებნი, ხალხური სიმღერები, თქმულებანი.

განსაკუთრებული წარმატება ჰქონდა მოსკოველებს შორის ხალხური გუნდებისა და ანსამბლების კონცერტებს. უკრაინელი ხალხის წარმომადგენლები გამოდიოდნენ დედაქალაქის საუკეთესო თეატრებში, საკონცერტო დარბაზებში, კულტურისა და დასვენების სახლებში, კულტურის სასახლეებსა და კლუბებში.

დეკადის მონაწილეთა გამოსვლები გადაიქცა ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად. უკრაინელი ხელოვნების მუშაკები უდიდესი აღფრთოვანებით ასრულებდნენ დიდი სტალინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს.

დეკადის მონაწილე უკრაინელმა მწერლებმა მოსკოველებს უამბეს უკრაინული საბჭოთა ლიტერატურის წარმატებებზე, გაუზიარეს შემოქმედებითი გეგმები, გააცნეს საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომისადმი, მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მიძღვნილი ნაწარმოებნი.

დეკადის დღეებში გაიხსნა სამი გამოფენა. ბევრმა მოსკოველმა დაათვალიერა სახვითი ხელოვნების გამოფენა ტრეტიაკოვის გალერეაში და უკრაინის სსრ ხალხური ხელოვნების გამოფენა გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში. დიდი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე უკრაინული წიგნისა და წიგნის გრაფიკის გამოფენამ, რომელიც მკაფიოდ ასახავს საბჭოთა უკრაინული ლიტერატურის ზრდას.

დეკადის დღეებში მოეწყო უკრაინის სსრ მწერლების, მხატვრების, თეატრების მუშაკების არაერთი შეხვედრა მოსკოვის მწერლებთან და ხელოვნების მუშაკებთან. ამ შეხვედრების დროს იხილავდნენ მწერლების ნაწარმოებებს, უკრაინის თეატრების შემოქმედებით საქმიანობას. აზრთა შემოქმედებითი გაცვლა ხელს შეუწყობს საბჭოთა უკრაინის კულტურის შემდგომ ზრდას.

(სტალინი).

## ინდოეთის კულტურის მოღვაწეთა ჩამოსვლა მოსკოვში

23 ივნისს სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ინდოეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან დრამატურგი და პოეტი ჰარინდრანათ ჩატოპადჰაია (დელეგაციის ხელმძღვანელი), რომან „შიმშილის“ ავტორი, მწერალი ხხაბანტ ხხატაჩარია, პოეტი ვალატჰოლი, მსახიობი ქალი ჩანდრალეკა პატელი, პუბლიცისტი შამ ლალი, ჟურნალისტები ჯონზ ბაჰადურ სინგხი და სატენდრა მაჯუმდარი.

ამავე დროს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ინდოეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. ჩამოსულთა შორის არიან ცნობილი ბომბეელი ქირურგი დოქტორი ა. ბალიგა (დელეგაციის ხელმძღვანელი), დელის უნივერსიტეტის ბოტანიკის ფაკულტეტის დეკანი დოქტორი ჯ. ჩინოი, კალკუტის სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი ა. უკილი, ინდოეთის შეერთებული პროვინციების ირიგაციის მთავარი ინჟინერი უ. ბხატი.

ვნუკოვის აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გენერალური მდივნის მოადგილე ნ. ს. ტიხონოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები — ბ. ს. კოვალენკო, ბ. მ. ჟული, პროფესორები ი. ტ. გლეშჩენკო, მ. ი. ვარენცოვი, ლ. ბ. ჩერნიშოვი, მწერლები ა. სოფრონოვი, ვ. იმბერი, ლ. დმიტერკო, გ. გულიკინი, მ. მირშაკარი, გ. გულიამი, ი. აინოვსკი და სხვები.

ნ. ს. ტიხონოვი გულითადად მიესალმა ინდოელ სტუმრებს.

ჰარინდრანათ ჩატოპადჰაიამ, რომელმაც საპასუხო სიტყვა წარმოთქვა, განაცხადა:

— მეგობრებო! არა მარტო ჩვენო მეგობრებო, არამედ მთელი მსოფლიოს მეგობრებო! თქვენ ეს იყო ახლა მოგვესალმეთ სულითა და გულით და სიხარული გამოთქვით იმის გამო, რომ ჩვენ გადმოვლახეთ ასეთი დიდი მანძილი. მაგრამ მანძილი არაფერს არ ნიშნავს იქ, სადაც ადამიანთა გული ძგერს ერთი გრძნობით, იქ, სადაც იდეები ერთიანია.

ინდოეთის ხალხის სახელით გარწმუნებთ, რომ რა პროპაგანდაც უნდა გასწიოს ამერიკულმა ბლოკმა, რა სიყალბეც და ცილისწამებაც უნდა გაავრცელოს თქვენი დიადი ქვეყნის შესახებ, თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ ჩვენმა ხალხმა იცის სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ.

ინდოეთის ხალხები მთელი გულით ემხრობიან მშვიდობას. ისინი იმედით შესცქერიან საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის დიდ ხალხებს.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მშვიდობას!

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## გენერალ-პოლკოვნიკ ივანე ტიხონის-ძე გრიშინის ხსოვნის უკვდავყოფისა და მისი ოჯახის უზრუნველყოფის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ **დაადგინა:**

1. დაიდგას ძეგლი გენერალ-პოლკოვნიკ ივანე ტიხონის-ძე გრიშინის საფლავზე.

2. მიეცეს ერთდროული დახმარება ი. ტ. გრიშინის ცოლს ვერა გლების ასულ გრიშინას 50.000 მანეთის რაოდენობით.

3. დაენიშნოს პერსონალური პენსია ი. ტ. გრიშინის ოჯახს:

ცოლს ვერა გლების ასულ გრიშინას თვეში 1.200 მანეთის რაოდენობით სამუდამოდ;

შვილს ანატოლი გრიშინს თვეში 600 მანეთის რაოდენობით უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებამდე;

სიდედრს მატრონა თევდორეს ასულ ფირცევას თვეში 600 მანეთის რაოდენობით სამუდამოდ.

4. გენერალ-პოლკოვნიკ ივანე ტიხონის-ძე გრიშინის დაკრძალვა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

## პარტიული ცხოვრება

# პარტიული ჯგუფები სანიმუშოდ უნდა მუშაობდნენ

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მექანიკურმა საამქრომ (საამქროს უფროსი თ. დავითაშვილი, პარტბიუროს მდივანი შ. შაკილაძე) პირველი კვარტალის გეგმა 103,4 პროცენტით შეასრულა. აპრილიდან მას საწარმოო დავალება გაუდიდეს. ამან სერიოზული ამოცანის წინაშე დააყენა საამქროს სამეურნეო ხელმძღვანელობა და პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

ამ ამოცანის წარმატებით გადაჭრაში განსაკუთრებით დიდია საამქროთა პარტიული ჯგუფების როლი, რადგან ისინი ყველაზე ახლო დგანან მუშებთან, მათთან, ვინც უშუალოდ წყვეტს გეგმების შესრულების ბედს.

მექანიკურ საამქროში თებერვალში შეიქმნა 5 პარტიული ჯგუფი. მუშაობის გამოცდილებას ისინი თანდათანობით იძენენ. ზოგიერთმა მათგანმა უკვე შეძლო ქმედით ღონისძიებათა განხორციელება თავის სამუშაო უბანზე წარმატების მოსაპოვებლად.

მეოთხე განყოფილების პარტიული ჯგუფი, რომელსაც ცვლის ოსტატი ს. ვერკინი ხელმძღვანელობს, თავისი ამოცანის ღრმა შეგნებით მუშაობს. ჯგუფში გაერთიანებულია 10 კომუნისტი. ისინი კარგად ასრულებენ ავანგარდულ როლს. პარტიული ჯგუფის, კომუნისტების კარგი მუშაობითაც აიხსნება, რომ ცვლამ მაისის გეგმა 127 პროცენტით შეასრულა და ივნისშიც წარმატებით მუშაობს.

პარტიული ჯგუფის წევრები ხშირად მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საწარმოო დავალებათა შესრულების მიმდინარეობა, კომუნისტების ავანგარდული როლი, შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვა, საწარმოო დისციპლინა, შრომის ორგანიზაცია, საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, ახალგაზრდა მუშების საწარმოო კულტურა.

საფაბრიკო-საქარხნო სკოლადამთავრებული ახალგაზრდა მუშა-პრაქტიკანტი ვ. კიკნაძე და მუშა ა. ავლოხოვი ხშირად არღვევდნენ შრომის დისციპლინას, არ უვლიდნენ დაზგებს, წინასწარ არ აწყობდნენ სამუშაო ადგილს, მათ მიერ გამოშვებული დაზგის დეტალები ხშირად უხარისხო იყო. პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელს, ცვლის ოსტატს ს. ვერკინს შეუმჩნეველი არ დარჩა ეს მდგომარეობა, შეისწავლა მათი მუშაობა. შედეგებზე იმსჯელეს პარტიული ჯგუფის წევრებმა და გადაწყვიტეს მიემაგრებინათ ისინი გამოცდილი მუშებისათვის. გარდა ამისა, ამხ. ვერკინი ესაუბრა მათ საწარმოო წესრიგის შესახებ. პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელი სისტემატურ კონტროლს უწევდა ვ. კიკნაძისა და ა. ავლოხოვის მუშაობას. მალე ისინი დაწინაურდნენ. ახლა ორივე გამოირჩევა ბეჯითი შრომით და გეგმებსაც გადაჭარბებით ასრულებენ.

ყველა კომუნისტს მიცემული აქვს პარტიული დავალება. პარტიული დავალების განაწილებისას მხედველობაში მიღებულია თვითეული კომუნისტის შესაძლებლობა და სურვილი. ჯგუფის ხელმძღვანელი სისტემატურად ეხმარება მათ დავალების შესრულებაში. კომუნისტებიც კარგად ასრულებენ დავალებებს. მაგალითად, პარტიული ჯგუფის წევრები, საამქროს მთავარი მექანიკოსი ინჟინერი გ. გორგიშელი და განყოფილების უფროსი ოსტატი ი. პოვრებეცკი აგიტატორები არიან, განყოფილების მუშებს შორის სისტემატურად აწყობენ საინტერესო საუბრებს, მიმზიდველად მოუთხრობენ მუშებს კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ცხოვრებაზე, კორეის ამბებზე, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. აგიტატორები ყოველ საუბარს მოხერხებულად უკავშირებენ ადგილობრივ ცხოვრებას, საუბრობენ საწარმოო დისციპლინის, ხარისხისათვის ბრძოლის, კომუნისტების ავანგარდული როლის, საწარმოში ინჟინერ კოვალიოვის მეთოდის დანერგვის შესახებ, ეწევიან მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებას. მუშებში დიდი ინტერესი გამოიწვია საუბარმა: „ლენინის რაიონი წინათ და ახლა“.

პარტიული ჯგუფის წევრი განყოფილების ტექნოლოგი მ. ცირულნიკი საამქროს კედლის გაზეთ „მჭრელს“ რედაქტორობს. ეს გაზეთი ქმედით დახმარებას უწევს საამქროს სამეურნეო ხელმძღვანელობასა და პარტიულ ორგანიზაციას ნაკლოვანებათა გამოსწორებასა და მუშაობის უკეთესად მოწყობაში. ყოველი ნომერი მიმზიდველია თავისი შინაარსითა და გაფორმებით. იბეჭდება კრიტიკული შენიშვნები. სარედაქციო კოლეგია დაუყოვნებლივ ეხმაურება ქარხნის და საამქროს ცხოვრებაში მომხდარ ყველა ახალ მოვლენას. კედლის გაზეთში სისტემატურად თავსდება წერილები საამქროს და განყოფილებების მიერ საწარმოო დავალებათა შესრულებაზე, პროდუქციის ხარისხზე, პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაზე, ახალგაზრდა მუშების ცხოვრებაზე. გაზეთი ეწევა მოწინავე ადამიანთა გამოცდილების პოპულარიზაციას. გაზეთის ერთი ნომერი სპეციალურად მიძღვნილია წარმოებაში ინჟინერ კოვალიოვის მეთოდის დანერგვის საკითხისადმი.

საამქროს მეორე განყოფილების პარტიულმა ჯგუფმა (ხელმძღვანელი დ. მოსესოვი) კარგად მოაწყო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კომუნისტებში, კომკავშირელებსა და უპარტიო მუშებში. მაღალია კომუნისტების ავანგარდული როლი. კომუნისტი ხარატები დ. მოსესოვი, ა. აგაჯანოვი და პ. კვიატკოვსკი საწარმოო დავალებებს 150-250 პროცენტით ასრულებენ, აქტიურად მონაწილეობენ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

საამქროს პარტიული ორგანიზაცია ქმედით დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს პარტიულ ჯგუფებს, წარმართავს მათ მუშაობას. პარტბიუროს სხდომებზე იხილავენ პარტიული ჯგუფების მუშაობის საკითხებს, ამოწმებენ მიღებულ დადგენილებათა შესრულებას.

საამქროს პირველ და მეხუთე განყოფილებებში გეგმის შესრულება მკვეთრად ჩამორჩებოდა. განყოფილებებში იყო უწესრიგობა, ანტისანიტარია. საამქროს პარტბიურომ დაუყოვნებლივ გამოჰყო კომისია, რომელმაც შეამოწმა პარტიული ჯგუფების საქმიანობა. გამოირკვა, რომ ისინი არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ, ჯგუფების წევრები იშვიათად იკრიბებოდნენ, მიღებულ ღონისძიებათა აღრიცხვა არ ხდებოდა, ცუდად ეხმარებოდნენ პროფორგებსა და კომორგებს, არ მსჯელობდნენ საწარმოო საკითხებზე, ჩაშლილი იყო საგიტაციო-მასობრივი მუშაობა, კომუნისტები ვერ ასრულებდნენ ავანგარდულ როლს. მღარავი მუშა პ. ზინჩენკო, ცვლის ოსტატი ი. დემიანენკო მონდომებით არ მუშაობდნენ, პარტიული ჯგუფები არ იბრძოდნენ ჩამორჩენისა და წუნის წინააღმდეგ. ეს საკითხი საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ საამქროს პარტბიუროს სხდომაზე განიხილეს და დასახეს სათანადო ღონისძიებანი. მიღებული დადგენილების შესასრულებლად დაირაზმნენ განყოფილებათა კომუნისტები და მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა.

პარტბიუროს მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად ზოგიერთ პარტიულ ჯგუფს მუშაობაში აქვს ნაკლოვანებანი. პარტიული ჯგუფის წევრები იშვიათად იკრიბებიან, სათანადოდ ვერ ეწევიან წარმოების ნოვატორთა გამოცდილების პოპულარიზაციას, სათავეში ვერ უდგანან სოციალისტურ შეჯიბრებას. ზოგიერთმა ჯგუფორგმა არც კი იცის, როგორ აწარმოოს დღიური, არა აქვს აღრიცხვა, თუ როგორ მუშაობენ კომუნისტები თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად, რა ლიტერატურას კითხულობენ და სხვ.

ქარხნის პარტბიურომ და საამქროს პარტიულმა ორგანიზაციამ გადაჭრით უნდა გააუმჯობესონ პარტიული ჯგუფებისადმი ხელმძღვანელობა და დახმარება, სწორი მიმართულება მისცენ მათ მუშაობაში, განაზოგადონ მოწინავე პარტიული ჯგუფების გამოცდილება, იზრუნონ იმისათვის, რომ პარტიული ჯგუფები ნამდვილად ახდენდნენ სერიოზულ გავლენას თავიანთი უბნების სამეურნეო და პოლიტიკურ ცხოვრებაზე.

**ე. მამალაძე**

## პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა სემინარი

**ბოლნისი.** (საკ. კორ.). საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომმა მოაწყო გამსხვილებული კოლმეურნეობებისა და მტს-ების პარტიული ჯგუფების ორგანიზატორთა სემინარი.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემებზე: საკავშირო კ. პ. (ბ) წესდების შესახებ, პარტიული ჯგუფების ამოცანები, პარტიული ჯგუფების როლი სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში, სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა.

მოხსენებები წაიკითხეს პარტიის რაიკომის მდივანმა ი. კაციტაძემ, განყოფილებათა გამგეებმა პ. ბაქრაძემ, დ. სტეფანიამ და სხვებმა.

## ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიაში

### პლენუმი დიად მშენებლობათა რაიონებში რწყვის განვითარების საკითხზე

25 ივნისს მოსკოვში გაიხსნა ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სექციის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა ვოლგის გაღმა მხარეში, კასპიისპირეთში, სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ ყირიმში რწყვის განვითარების საკითხს. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ქვეყნის იმ ოცდაათამდე სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულების წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობენ კომუნიზმის დიად მშენებლობათა რაიონებში რწყვის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ნ. პოპოვმა. მან აღნიშნა თუ რა გრანდიოზული ცვლილებები მოხდება უახლოეს წლებში უზარმაზარ ტერიტორიაზე ამუ-დარიიდან დნეპრამდე. ჩვენი ქვეყანა მიიღებს ექვს მილიონზე მეტ ჰექტარ სარწყავ ველებს. გარდა ამისა, წყლით უზრუნველყოფილ იქნება 22 მილიონამდე ჰექტარი ველები, რაც ხელსაყრელ პირობებს შექმნის მეცხოველეობის განვითარებას.

ამხ. პოპოვმა აღნიშნა, თუ რა მუშაობას ეწევიან ამჟამად ვოლგის გაღმა მხარესა და კასპიისპირეთში რწყვის განვითარების დარგში საწარმოო ორგანიზაციები და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები და რა ამოცანები დგას მათ წინაშე.

სამხრეთ უკრაინასა და ჩრდილოეთ ყირიმში რწყვის განვითარების შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მებამბეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ა. ნ. ასკოჩენსკიმ.

მოხსენებები კომუნიზმის დიად მშენებლობათა რაიონებში უკანასკნელ დროს განხორციელებული სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის შესახებ გააკეთეს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ა. მ. ცარევსკიმ, უკრაინის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ს. მ. ალპატიევმა, სარატოვის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა პ. დ. ხუდიაკოვმა და სხვა მეცნიერებმა. (საკდესი).

## კურორტი ნაფტალანი

**ბაქო,** (საკდესი). ასობით წერილი მოდის ჩვენი ქვეყნის ყოველი მხრიდან კურორტ ნაფტალანის დირექციას. მარტო უკანასკნელ დღეებში შეკითხვები კურორტის შესახებ მიღებულია სამარყანდიდან, პოლტავიდან, არალსკიდან, ირკუტსკიდან, რიგიდან და სხვა ქალაქებიდან. ადრესატებს გაეგზავნათ დაწვრილებითი ინსტრუქციები და ცნობები, თუ რა და რა ავადმყოფობის მკურნალობა შეიძლება ნაფტალანში.

აზერბაიჯანის ეს პატარა კურორტი, სადაც მოიპოვება სამკურნალო ნავთის მსოფლიოში ერთადერთი საბადო, ჯანმრთელობის საკავშირო კერა გახდა. გუშინ ნაფტალანში დაიწყო ახალი სეზონი. ჩამოვიდა მოაგარაკეთა პირველი ჯგუფი.

კურორტი ფართოვდება. აქ აიგება 150-ადგილიანი ახალი სანატორიუმი, აბაზანების შენობა, რომელიც დღე-ღამეში ორი ათას კაცს მოემსახურება.

# კომუნიზმის მშენებლობანი საყოველთაო-სახალხო საქმეა

(რესპუბლიკური და ადგილობრივი პრესის ფურცლებზე)

ზაპოროჟიეს ენერგეტიკოსთა სასახლეში მოეწყო სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებელთა პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს ზაპოროჟიეს, დნეპროპეტროვსკის, ხერსონის, ნიკოლაევისა და ყირიმის ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, „უკროდსტროის“ სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოების წარმომადგენლებმა, აგრეთვე უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის, უკრაინის სსრ არქიტექტურის აკადემიის და მთელი რიგი საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებების წარმომადგენლებმა.

თათბირმა მოისმინა მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსის ამხ. ბოჩკინის მოხსენება სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. თათბირზე სიტყვით გამოვიდა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. დ. ს. კოროტჩენკო.

ერთსულოვნად მიღებულ გადაწყვეტილებაში თათბირის მონაწილეებმა დასახეს ღონისძიებანი სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებლობის ტემპების გასაძლიერებლად. თათბირზე გაფორმებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლებსა და სამხრეთ უკრაინისა და ჩრდილოეთ ყირიმის არხების მშენებელთა კოლექტივებს შორის.

თათბირის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

(„პრავდა უკრაინი“)

• • •

კარელია-ფინეთის სსრ ხე-ტყის დამამზადებელმა საწარმოებმა მაისში გადაჭარბებით შეასრულეს კომუნიზმის მშენებლობებისათვის ხე-ტყის გაგზავნის გეგმა. რამდენიმე ეშელონი ხე-ტყე დამატებით გაგზავნეს მალენგისა და ვირანდოზეროს სატყეო-სამრეწველო მეურნეობებმა.

წარმატებით სრულდება ივნისის დავალებაც. კონდოპოგის სატყეო-სამრეწველო მეურნეობის კიაპესელგის სატყეო ბირჟამ 10 ივნისისათვის უკვე შეასრულა კახოვკის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის ხე-ტყის გაგზავნის ივნისის გეგმა. ვადამდე ასრულებენ ივნისის დავალებას ლადვინისა და ვირანდოზეროს სატყეო-სამრეწველო მეურნეობები.

(„ლენინსკოე ზნამია“—კარელია-ფინეთის სსრ)

• • •

ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცეცხლგამძლე და საშენ მასალათა ინსტიტუტმა მიიღო შუა აზიის ჰიდრომშენის მთავარი ინჟინრის ამხ. ერისთავის წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ინსტიტუტის მიერ ბარხანის ქვიშის, როგორც ბეტონის შემავსების გამოკვლევა, აგრეთვე მუშაობა ადგილადსხსნადი მარილების მიერ კედლის მასალის დანგრევისაგან დაცვის დარგში დიდად საინტერესოა თურქმენეთის მთავარი არხის მშენებლობისათვის. მშენებლობის ხელმძღვანელები სთხოვენ ინსტიტუტს ამ სამუშაოთა დამთავრების შემდეგ გაუგზავნოს მათ თავისი წინადადებანი.

ახლა ლაბორატორიაში წარმოებს ყარა-ყუმის უდაბნოს ქვიშის გამოკვლევა. ამ ქვიშის ნიმუშები მიტანილია ალმა-ატაში.

(„კაზახსტანსკაია პრავდა“)

• • •

თურქმენეთის მთავარი არხის ზონაში ტახია-ტაშიდან ჩირიშლის ჰმდე დაიწყო მუშაობა შუა აზიის სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ყარა-ყუმის საცდელმა სადგურმა.

იმისათვის, რომ თურქმენეთის მთავარი არხი დაცულ იქნას დასილვისაგან, შემცირდეს წყლის აორთქლება და დაცულ იქნას ახლად მორწყული მიწები გრუნტის წყლებისაგან, ამ უბანზე არხის მარცხენა ნაპირის გაყოლებით გაშენდება ასმეტრიანი სიგანის ტყის ზოლი.

სხვადასხვა უბანზე გაშენებულია პატარა საცდელი სანერგეები. აქ ხდება ტყის ჯიშების შერჩევა და უდაბნოს პირობებში მის ზრდაზე მეთვალყურეობა.

სპეციალური საექსპედიციო რაზმები არჩევენ ფართობებს აეროთესვისათვის, სწავლობენ მწვანე ზონების შექმნის შესაძლებლობას.

(„პრავდა ვოსტოკა“)

• • •

ურალის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივმა ახალი გამარჯვება მოიპოვა. ქარხანამ დაამთავრა კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისათვის მეოთხე მიწისმწოვის აწყობა. მძლავრი მანქანის დამზადებისას მუშებმა გვიჩვენეს შემოქმედებითი შრომის ნიმუშები. ქარხნის მუშათა ჯგუფი გაემგზავრა სამშენებლო მოედანზე, სადაც მოხდება ოთხივე მიწისმწოვის მონტაჟი უშუალოდ მათი მუშაობის ადგილზე.

(„ურალსკი რაბოჩი“—სვერდლოვსკი)

• • •

ვოლგა-დონის არხის მშენებლები აძლიერებენ მუშაობის ტემპებს. ფართოვდება ბეტონის ჩაწყობის ფრონტი, იზრდება ბეტონის ქარხნების წარმადობა. ყველა რაზმი ყოველდღე დავალებებს გადაჭარბებით ასრულებს. განსაკუთრებით სწრაფად წარმოებს სამშენებლო სამუშაოები № 31 სატუმბავი სადგურის მშენებლობაზე. ამ სადგურმა 1952 წლის თებერვალში პირველმა უნდა დაიწყოს დონის წყლის გადაქაჩვა არხის ნაგებობათა სისტემაში. არხის უბნებზე წარმოებს მოსაპირკეთებელი სამუშაოები.

მთელ არხზე და ციმლიანსკაიას ჰიდროკვანძის მოედანზე დაიწყო რთული ჰიდროტექნიკური მოწყობილობის დადგმა. არხის მშენებლობაზე უკვე ასობით მემონტაჟე მუშაობს. რთული მექანიზმები გამოგზავნეს ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხანამ და სტალინის სახელობის ნოვო-კრამატორსკის ქარხანამ.

(„სტალინგრადსკაია პრავდა“)

• • •

ვოლგის მარცხენა ნაპირზე დაიწყო სამუშაოები ელექტროხაზის გასაყვანად, რომელიც „კუიბიშევჰიდრომშენის“ სამშენებლო უბნებს გადასცემს მაღალი ძაბვის დენს. ელექტროხაზის აგებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ულიანოვსკისა და პენზის ოლქის კოლმეურნეები. ტრასზე უკვე დაყენებულია ასზე მეტი საყრდენი, ამოთხრილია 600 ქვაბული, დაკიდულია მავთულის პირველი კილომეტრები.

(„ვოლჟსკაია კომუნა“—კუიბიშევი)

# ჩაის ფაბრიკები ახალი ამოცანების წინაშე

ბოლშევიკური პარტიის, საბჭოთა მთავრობის, ხალხთა ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის მზრუნველობით საქართველოს ჩაის მრეწველობა განუწყვეტლივ იზრდება და ვითარდება. საკმარისია ითქვას, რომ მარტო უკანასკნელი სამი წლის მანძილზე, საქართველოში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაცემულია მოწინავე საბჭოთა ტექნიკით შეიარაღებული ჩაის 13 ფაბრიკა. აქედან კოჩარის, ინგირის, მუხაესტატეს და გურიანთის ფაბრიკები უკვე მთელი სიმძლავრით მუშაობენ და მრეწველობის მოწინავე საწარმოთა რიგებში არიან. მუშაობა გააჩაღეს ლესიჭინისა და გუდაუთის ჩაის ფაბრიკებმაც, თუმცა მათ ჯერ საპროექტო სიმძლავრეს ვერ მიაღწიეს. მიმდინარე წლის მაისიდან წარმატებით შეუდგნენ ჩაის ფოთლის გადამუშავებას აგრეთვე აჭყვის, ბახვის, განახლების, გუბის, საჯიჯაოს, წალენჯიხის მეორე და ჭუბურხინჯის ჩაის ფაბრიკები, თუმცა ისინი ჯერ არ მუშაობენ სრული სიმძლავრით. ამ ახალი ფაბრიკების აშენებით ჩაის მწვანე ფოთლის გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრე გადიდებულია 26.000 ტონით. ამავე დროს გადაკეთებული, გაფართოებული და ახალი აგრეგატებით მოწყობილია 27 მოქმედი ჩაის ფაბრიკა და მათი გადამუშავების სიმძლავრე გადიდებულია 14.000 ტონით.

თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული ჩაის მრეწველობაში ახალი ტექნიკის დასანერგავად. ყველა ფაბრიკაში შეცვლილია ძველი, დაბალი გამომუშავების ჰორიზონტალური საღნობი აგრეგატები და დადგმულია ინჟინერ შარკოვსკის სისტემის შახტისებური საღნობი, რომელიც ადიდებს შრომის ნაყოფიერებას, საგრძნობლად აუმჯობესებს ჩაის მრეწველობაში ძირითად ტექნოლოგიურ პროცესს — ფოთლის ღნობას. ფაბრიკებში ყველა სახმობი ღუმელი გადაყვანილია დიფერენცირებულ სისწრაფეზე. რეკონსტრუირებულია სახურებლები. ამან გაადიდა ღუმელების წარმადობა დღეში 11,5-12 ტონამდე, ნაცვლად წინანდელი 9 ტონისა. ამასთან საწვავის ხარჯვა შემცირებულია 38 პროცენტით. ამავე დროს საგრძნობლად გაუმჯობესებული და რეკონსტრუირებულია ბრტყელი დამხარისხებელი მანქანები ჩამოსაკიდ მოწყობილობებზე. მწვანე ბაიხის ჩაის გადამმუშავებელ ფაბრიკებში დადგმულია და მუშაობს შემშრობი აგრეგატები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი და გაადვილდა მუშაობა. ამჟამად დამუშავებულია და გამზადებულია წარმოებაში დასანერგავად უხეში ჩაის ფოთლის შემგრეხი აგრეგატი, რომელიც საგრძნობლად ამარტივებს მუშაობას და აიაფებს პროდუქციას. მარტო 1951 წლის სეზონისათვის ჩაის 20 ფაბრიკაში დაიდგა და ამუშავდა 690 მეტრი ტრანსპორტიორი.

ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკებმა უზრუნველყვეს მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

რესპუბლიკაში ჩაის ფოთლის დამზადების მაისის დავალება განაღდებულია 148,4 პროცენტით; აქედან პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი დამზადებულია 90,9 პროცენტის რაოდენობით. პირველადი ჩაის პროდუქციის გამომუშავების გეგმა შესრულებულია 135 პროცენტით, აგურა და გაწნილი ბაიხის ჩაისა — 113,8 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ მაისის დავალება გადაჭარბებით შეასრულა ჩაის ყველა ფაბრიკამ, გარდა ორპირის ჩაის ფაბრიკისა (დირექტორი ამხ. ლექვინაძე, უფროსი ტექნოლოგი ამხ. თორთლაძე).

გასული ორი თვის მანძილზე სერიოზული მიღწევებია მოპოვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში. „ექსტრა“ ჩაი გამოშვებულია გეგმის 208 პროცენტი, უმაღლესი ხარისხის ჩაი — 343 პროცენტი, პირველი ხარისხის — 139,7, მეორე ხარისხის პირველი კატეგორიის — 129,6 პროცენტი. აპრილ-მაისის განმავლობაში მეორე ხარისხის მესამე კატეგორიისა და მესამე ხარისხის ჩაი მრეწველობას არ გამოუმუშავებია.

სეზონისათვის განსაკუთრებით კარგად მოემზადნენ და პირველი თვეების (აპრილ-მაისის) დავალებები წარმატებით შეასრულეს ნატანების (დირექტორი ამხ. გოგუაძე, უფროსი ტექნოლოგი ამხ. დოლიძე), ლაითურის (დირექტორი ამხ. ჩხიკვაძე, უფროსი ტექნოლოგი ამხ. ღლონტი), ზუგდიდის (დირექტორი ამხ. შონია, უფროსი ტექნოლოგი ამხ. შალამბერიძე), გალის (დირექტორი ამხ. კორძახია, უფროსი ტექნოლოგი ამხ. საინიშვილი) ჩაის ფაბრიკებმა. კარგად იმუშავეს აგრეთვე ხუცუბნის, მახარაძის, მაღალი ეწერის, დიდი ჭყონის პირველი და ნარაზენის ჩაის ფაბრიკებმა.

მუშაობა საგრძნობლად გააუმჯობესეს და გეგმის შესრულებისა და ხარისხოვანი პროდუქციის გამომუშავების საქმეში კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს წინათ ჩამორჩენილმა ჩოხატაურის, წალენჯიხის პირველმა და მაღლაკის ჩაის ფაბრიკებმა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი სამშენებლო სამუშაოები დამთავრებული არ არის, დამაკმაყოფილებლად შეუდგნენ ჩაის ფოთლის გადამუშავებას აჭყვის, ბახვის, განახლების, გუბის, წალენჯიხის მეორე, საჯიჯაოს და ჭუბურხინჯის ჩაის ახალი ფაბრიკები.

მოწინავე ჩაის ფაბრიკების კოლექტივები იბრძვიან იმისათვის, რომ წარმატებით განახორციელონ არა მარტო სახელმწიფო გეგმები, არამედ დამატებით ნაკისრი ვალდებულებანი. ნასაკირალის ჩაის ფაბრიკა (დირექტორი ამხ. სურგულაძე), რომელსაც მიენიჭა კვების მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტისა და საქართველოს ჩაის ტრესტის გარდამავალი წითელი დროშა, წელს გეგმის გადამეტებით მისცემს სამშობლოს 126 ტონა პროდუქციას; აქედან უმაღლესი ხარისხისას — 115 ტონას; გაზრდის შრომის ნაყოფიერებას 3 პროცენტით და შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას მნიშვნელოვანი რაოდენობით. ლაითურის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი გეგმის გადამეტებით 150 ტონა ბაიხის ჩაის გამოუშვებს, აქედან უმაღლესი ხარისხისას—120 ტონას. გადიდებულ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის იბრძვიან ზუგდიდის პირველი, აჩიგვარის პირველი და ბევრი სხვა ფაბრიკა.

ჩაის ფაბრიკებში გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. ჩაის საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის შეჯიბრებაში ჩაბმულია 395 ბრიგადა და 25 ცვლა, რომლებშიც გაერთიანებულია 3.250 მუშა და ინჟინერ-ტექნიკოსი. საჭიროა უფრო მეტად გაიშალოს ბრძოლა ჩაის მრეწველობაში საუკეთესო პროდუქციის გამოშვებისათვის. ჩაის ფაბრიკებს საშუალება აქვთ მესამე კვარტალში შექმნან და განამტკიცონ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამომმუშავებელი ცვლები და საამქროები. ლანჩხუთის პირველ, ნასაკირალის, ლაითურის, ნატანების, ზუგდიდის პირველ და გალის პირველადი გადამუშავების, ზუგდიდისა და ჩაქვის საწნეხ ფაბრიკებს, თბილისის გადამწონ ფაბრიკას შეუძლიათ მოკლე ვადაში გახდნენ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების საწარმონი.

სოციალისტური შეჯიბრების პირველი შედეგები ცხადყოფენ, რომ ჯერ კიდევ დიდი რეზერვებია გამოუყენებელი ჩაის პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრის ბრძანებით თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში კოროლენკოს, ბაქანიძის და ბენაშვილის ბრიგადებს კვლავ შენარჩუნებული აქვთ საუკეთესო ხარისხის პროდუქციის გამოშვების ბრიგადის სახელწოდება. აღნიშნული ბრიგადები შრომის სწორი ორგანიზაციის საფუძველზე სისტემატურად საამაყო მაჩვენებლებს აღწევენ. ჩაის მრეწველობის სტახანოველები აუმჯობესებენ ტექნოლოგიურ პროცესს, დიდი გადაჭარბებით ასრულებენ დავალებებს. წალენჯიხის ჩაის პირველი ფაბრიკის საგრეხი საამქროს მუშა ცურუ კალანდია დღიურ დავალებას 200 პროცენტით ასრულებს, ამავე ფაბრიკის სახმობი საამქროს სტახანოველები ოლღა კვარაცხელია 200 პროცენტით, ვალერიან კვარაცხელია — 187 პროცენტით. ასეთსავე წარმატებებს აღწევენ ბანძის ჩაის ფაბრიკის საჭკნობი საამქროს მუშა ვლ. ფარცვანია, ამავე ფაბრიკის სახმობი საამქროს მუშა ოლღა ბეჟვაია, დიდი ჭყონის მეორე ფაბრიკის სტახანოველი ნადია ფულარია, შრომის ჩაის ფაბრიკის საჭკნობი საამქროს მუშა გალია პიჩაევა და მრავალი სხვა.

მიმდინარე წლის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ ჩაის პლანტაციების მოვლის გაუმჯობესების შედეგად მოსავალი ადრე და უხვად შემოვიდა. ამასთან ფაბრიკებს ბევრად უკეთესი ხარისხის ჩაის ფოთოლი ბარდება, ვიდრე შარშან. ამან გაუადვილა ჩაის ფაბრიკებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს თითქოს ყველგან დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ წელს მნიშვნელოვნად განმტკიცდა ტექნოლოგიური დისციპლინა, გუდაუთის, კოჩარის, ნაბაკევის და ბათუმის ჩაის ფაბრიკების დირექტორებმა და ტექნოლოგებმა არ შეასრულეს ჩაის ტრესტის ინსტრუქცია და დაარღვიეს პასპორტიზაცია, სათანადოდ ვერ დაიცვეს ტექნოლოგიური რეჟიმი, ვერ უზრუნველყვეს მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვება, ამით შეამცირეს თავიანთი შემოსავალი.

ზოგან ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ნახევარფაბრიკატის დახარისხების პროცესს. ამიტომ მზა პროდუქცია უკანვე დაუბრუნდათ ხელმეორედ დასახარისხებლად: ქობულეთის ფაბრიკას — 3.922 კილოგრამი, ლანჩხუთისას — 3.883, ორპირის — 1.666, უშაფათის— 1.100, ნაბაკევის — 902 და ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკას — 1.693 კილოგრამი.

ცუდად დახარისხებული ჩაი წარმოადგინეს აგრეთვე შრომის, გურიანთის, ლესიჭინის, აჩიგვარისა და ზუგდიდის ჩაის ფაბრიკებმა.

წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა ძირითადი ჩაის ფოთლის კრეფისა და მიღების ახალი წესები, რომელთა შესრულება უზრუნველყოფს ფოთლის ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესებას. ჩაის ფაბრიკებს დროულად დაეგზავნათ აღნიშნული წესები და მიეცათ სათანადო განმარტება. მაგრამ ჩაქვის, მახარაძის, უშაფათის, ნაბაკევის, გუდაუთის ჩაის ფაბრიკებში ზოგჯერ არღვევენ ფოთლის მიღების ამ წესებს. ეს უმთავრესად ფაბრიკების დირექტორთა უყურადღებობის შედეგია.

საჭიროა მტკიცედ დავიცვათ ფოთლის მიღებისა და გადამუშავების წესები, სასახელოდ შევასრულოთ მზა პროდუქციის გამოშვების გეგმა.

საქართველოს ჩაის მრეწველობის მუშაკები, აღფრთოვანებულნი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის უდიდესი აღმავლობით, შეძლებენ მთლიანად გამოიყენონ თავიანთი მუშაობის დიდი გამოცდილება, უფრო ფართოდ გაშლიან სოციალისტურ შეჯიბრებას საუკეთესო ხარისხის პროდუქციისათვის მებრძოლი ბრიგადების, ცვლების, საამქროების გასამრავლებლად, მოკლე ხანში გამოასწორებენ არსებულ ნაკლოვანებებს და უხვად მისცემენ სამშობლოს საუკეთესო ხარისხის ჩაის.

**მ. სარჯველაძე**

საქართველოს ჩაის ტრესტის მმართველი

წიგნის ერთთვიური

# მეტი და კარგი წიგნი მკითხველს!

საქართველოში წიგნის გავრცელების საქმე ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ მოწყობილი. სწორედ ამის შედეგია, რომ „საქწიგნისა“ და ცეკავშირის მაღაზიებში, საწყობებსა და ბაზებში ჰარბად აწყვია წლობით ჩაწოლილი ლიტერატურა.

ცუდად და მოუქნელად მუშაობენ „საქწიგნისა“ და ცეკავშირის სავაჭრო განყოფილებები წიგნის გასაღების დარგში. „საქწიგნის“ სავაჭრო განყოფილება კმაყოფილდება მხოლოდ მაღაზიებთან მიწერ-მოწერით და სტატისტიკური ცნობების შედგენით. სავაჭრო სისტემა მოკლებულია ოპერატიულ ხელმძღვანელობას და პრაქტიკულ დახმარებას. ასევე ითქმის „საქწიგნის“ ბაზის მუშაობაზე. ბაზა ძალიან ჩამორჩენილია მაღაზიებისათვის წიგნის დროულად და ორგანიზებულად მიწოდების საქმეში. მთელი რიგი დამახინჯებანი და დარღვევები წიგნის განაწილების დროს საგრძნობლად უშლის ხელს საერთოდ წიგნით ვაჭრობის ნორმალურ მიმდინარეობას.

იმის გამო, რომ წიგნით ვაჭრობის საქმე წინ ვერ მიდის, განსაკუთრებით რაიონულ მაღაზიებში დღითიდღე იზრდება და მატულობს წიგნის ნაშთები. ზოგიერთი მაღაზია—როგორც „საქწიგნის“, ისე ცეკავშირის ხაზით — ასრულებს არა სავაჭრო დაწესებულების მოვალეობას, არამედ წიგნის შესანახი საწყობისა და ბაზის ფუნქციებს. მაგალითად, „საქწიგნის“ სოხუმის მაღაზიას ნაშთი გეგმით უნდა ჰქონდეს 825 ათასი მანეთისა, ფაქტიურად კი აქვს 3 მილიონ 539 ათასი მანეთისა; გორის მაღაზიას უნდა ჰქონდეს 172 ათასი მანეთის ნაშთი, ფაქტიურად აქვს 454 ათასი მანეთისა; ახალქალაქის რაიმაღაზიას უნდა ჰქონდეს 92 ათასი მანეთის ნაშთი, ფაქტიურად აქვს 410 ათასი მანეთისა.

„საქწიგნისაგან“ ცეკავშირისათვის წიგნების ჩაბარების საქმე დღემდე მოუგვარებელია. ცეკავშირი თავის დროზე და საკმაო რაოდენობით ვერ იღებს „საქწიგნისაგან“ ლიტერატურას. „საქწიგნის“ ბაზიდან წიგნის მიღება მინდობილი აქვთ უშუალოდ რაიკავშირის გამგეობებს, რომლებიც თავის დროზე არ უდგენენ მოთხოვნებს „საქწიგნს“, ხოლო თუ უდგენენ, მეტად დაგვიანებით და მცირე რაოდენობით. გარდა ამისა, ცეკავშირის ორგანიზაციები ხშირად უკან აბრუნებენ „საქწიგნის“ ბაზაში ისეთ წიგნებს, რომლებიც მათი ქსელისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს.

„საქწიგნის“ აპარატმა დღემდე ვერ მოაწყო საქმე იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას წიგნის სავაჭრო გეგმების შესრულება. ნაკლები ყურადღება ექცევა ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით რაციონალურ წინადადებათა განხილვის საკითხებს, არ იწვევენ საწარმოო თათბირებს, არ ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვ.

წიგნის ერთთვიური, რომელიც 15 ივნისიდან მიმდინარეობს, უნდა გადაიქცეს ერთ-ერთ მთავარ ღონისძიებად ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის საქმეში.

წიგნის ერთთვიურს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო წიგნის გასაღებისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ უფრო გავაღრმავოთ მასებში წიგნისადმი სიყვარული, დავუახლოოთ მკითხველი წიგნის მაღაზიებს, კიოსკებს, ბიბლიოთეკებს, გამომცემლობებსა და ავტორებს.

წიგნის ერთთვიურის საშუალებით უნდა მივაღწიოთ ახალი მკითხველების შემოკრებას, გარდა ამისა, უნდა გავზარდოთ და გავამდიდროთ როგორც სახელმწიფო, ისე საკოლმეურნეო და ინდივიდუალურ მომხმარებელთა ბიბლიოთეკების წიგნის ფონდი.

შარშან მთელ რიგ რაიონებში იყო წიგნის კვირეულთან და ერთთვიურთან დაკავშირებით შეძენილი წიგნების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები. იმის ნაცვლად, რომ კოლმეურნეობებში ფართოდ მოგვეწყო და გაგვეშალა საბიბლიოთეკო ქსელი, რომლის ბაზაც უთუოდ მოეპოვებათ მოწინავე კოლმეურნეობებს, საკოლმეურნეო ბიბლიოთეკებისათვის შეძენილი ლიტერატურა სასოფლო სამკითხველოებმა, კლუბებმა და კერძო პირებმა მიითვისეს. მაგალითად, გულრიფშის რაიონის სოფელ აჭარის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის 3.500 მანეთის ღირებულების ლიტერატურა მიღებული და განიავებული აქვს ამავე სოფლის სამკითხველოს. ასეთივე შემთხვევა იყო ამავე რაიონის სოფელ ბაბუშერის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. 6 ათასი მანეთის ლიტერატურა, რომლის ღირებულება გადახდილი აქვს ხსენებულ კოლმეურნეობას ადგილობრივი ფონდის საშუალებით, მიღებული აქვს რომელიღაც ფოსტალიონს და კოლმეურნეობის ბიბლიოთეკისათვის გადაცემული არ არის. ასეთი მაგალითები სხვა რაიონებშიც არის. უფრო მეტიც: მთელ რიგ კოლმეურნეობებს გასულ წელს წიგნის ერთთვიურთან დაკავშირებით წიგნების ღირებულება გადახდილი აქვთ „საქწიგნის“ და ცეკავშირის მაღაზიებში, მაგრამ კუთვნილი ლიტერატურის მიღებას არ ფიქრობენ. გამზადებული ლიტერატურა კი დღესაც აწყვია მაღაზიებში (გაგრა, გუდაუთი, გულრიფში). ზოგიერთ კოლმეურნეობას უკვე შეძენილი და ადგილზე მიტანილი ლიტერატურა ჯერაც არ გაუხსნია და, მაშასადამე, ამ წიგნებით არც არავინ სარგებლობს.

წელს წიგნის ერთთვიურის დროს თავიდან უნდა ავიცილოთ მსგავსი ნაკლოვანებანი. წიგნის ერთთვიური უნდა ჩავატაროთ უფრო ორგანიზებულად, ისე, რომ წიგნის გავრცელება მოხდეს არა მარტო ორგანიზაციების, ბიბლიოთეკების საშუალებით, არამედ ცალკე მომხმარებლების აქტიური მონაწილეობითაც. ინდივიდუალური ბიბლიოთეკების შედგენის საქმეში მკითხველებს უნდა დაეხმარონ საწარმო-დაწესებულებათა და კოლმეურნეობათა პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები.

დაუშვებელია კოლმეურნეობის მიერ შეძენილი ლიტერატურის გადაცემა სასოფლო სამკითხველოებისა და კლუბებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყველა კოლმეურნეობას საკუთარი კარგად მოწყობილი ბიბლიოთეკა ჰქონდეს.

გასულ წელს იყო შემთხვევები, როცა წიგნის მაღაზიას თვითონ მიჰქონდა მომხმარებელთათვის წიგნები და აბარებდა მათ სრულიად შეურჩევლად, ხშირად ერთი სახელწოდების წიგნს 20-30 ცალად (ხაშურის, წითელწყაროს, სოხუმის, გაგრის და სხვა რაიონები).

როგორც „საქწიგნმა“, ისე ცეკავშირმა თავის დროზე უნდა უზრუნველყონ წიგნის მაღაზიები შესაფერი ასორტიმენტით, რათა წიგნის მომხმარებელს საშუალება მიეცეს შეარჩიოს მისთვის საჭირო ლიტერატურა. მას თავს არ უნდა მოახვიონ ისეთი პროდუქცია, რომლის გამო შემდეგ უკმაყოფილებას გამოთქვამს.

არის შემთხვევები, როცა თვით წიგნის მომხმარებელი სათანადოდ ვერ ერკვევა ამა თუ იმ წიგნის ღირსებაში, წიგნს აფასებს მხოლოდ გარეგნული შეხედულებით, სიახლის მიხედვით, არ იცის, რომ წიგნი შეიძლება ძველი იყოს, მაგრამ უაღრესად საჭირო და საინტერესო. გამყიდველი ვალდებულია განუმარტოს წიგნის ღირსება მკითხველს.

წიგნის ერთთვიურის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა საბჭოთა მწერლებმა. საჭიროა მოეწყოს მათი მივლინებანი რაიონებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებსა და საწარმო-დაწესებულებებში, რათა მწერლებსა და მკითხველებს შორის უახლოესი ურთიერთობა შეიქმნას.

მკითხველი უნდა იცნობდეს ავტორს, ხოლო ავტორი თავის მკითხველს. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს მასებში წიგნის დიდი რაოდენობით გავრცელებას.

წიგნის ერთთვიურის პირველმა დღეებმა დაგვანახა, რომ „საქწიგნისა“ და ცეკავშირის მაღაზიები სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდნენ ამ მნიშვნელოვან კამპანიას. 15 ივნისიდან მართალია, წიგნით ვაჭრობას ერთგვარი გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ ის ტემპი, რომელიც აღებული აქვთ წიგნის სავაჭრო ორგანიზაციებს, საკმარისი არ არის. ზოგიერთ რაიონს დღემდე არ წამოუყენებია მოთხოვნილება წიგნის ერთთვიურთან დაკავშირებით სარეალიზაციო ლიტერატურაზე. წიგნის ერთთვიურში არადამაკმაყოფილებლად მონაწილეობენ აგრეთვე მწერალთა კავშირი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ წიგნის ერთთვიურის მიმდინარეობის დროს შემჩნეული ნაკლოვანებანი, მტკიცედ დავრაზმოთ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივი ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი კამპანიის წარმატებით დამთავრებისათვის.

**შ. ლონდაძე**

## თვითეულ დედალორზე — 22 გოჭი

**თელავი.** (საკ. კორ.). ხანიორის კოლმეურნეობა „პირველმა მაისმა“ (თავმჯდომარე გ. სიმონოვი), სადაც დიდი ხანია არსებობს მსხვილი, თეთრი ჯიშის ღორის ფერმა, თვითეულ დედალორზე 22 გოჭის მიღება და გამოზრდა იკისრა, ნაცვლად შარშან მიღებული 19 გოჭისა.

მეღორეობის ფერმის მუშაკები ნაკისრი ვალდებულების წარმატებით შესასრულებლად ნაყოფიერად მუშაობენ. დღემდე თვითეულ დედალორზე მიღებული და შენარჩუნებულია 11 გოჭი. ორი თვის ასაკის გოჭები 12 კილოგრამს იწონიან.

მწყემსები ზაქარია ნონიაშვილი და ივანე იაკაშვილი, რომლებსაც მეღორეობის ფერმაში 18 წლის მუშაობის სტაჟი აქვთ, ყველაზე უკეთესად მუშაობენ. მათთვის მოსავლელად მიჩენილი დედალორების ნამატი მთლიანად შენარჩუნებულია. ფერმის გამგე იოსებ მელიქოვი უნარიანად ხელმძღვანელობს მინდობილ საქმეს.

ჩვენ გვწერენ

## მეტი ყურადღება მეშახტეთა ქალაქის კეთილმოწყობას

მეშახტეთა ქალაქის — ტყიბულის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო საჭიროების დაკმაყოფილებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

ქალაქს აბანო ჰქონდა, მაგრამ იგი დაიხურა, რადგან მისი ტერიტორია მშენებლობამ დაიკავა. მას შემდეგ ერთ წელზე მეტი გავიდა, ახალი აბანოს აგებაზე კი აქ არავინ ფიქრობს.

ცუდად არის დაყენებული მეშახტეთა ქალაქის მომსახურება ტრანსპორტით. ქალაქის სამი ავტობუსი სრულებით ვერ აკმაყოფილებს მეშახტეთა მოთხოვნილებას.

უწესრიგობაა ახალ გაშენებულ ქუჩებზე სახლების დანომრვის საქმეში. მაგალითად, ბერიას ქუჩაზე რამდენიმე სახლი ერთნაირ ნომერს ატარებს. ზოგიერთ ქუჩას სახელი სულ არა აქვს მიკუთვნებული.

ამ საკითხების მოგვარებას ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ადგილობრივმა ორგანოებმა და საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებმა.

მეშახტეები **გ. ლვინეფაძე**
**ა. ერგემლიძე**
**ვ. დიდებულიძე**

## საქართველოს სსრ საკოლმეურნეო მეცხენეობის მომუშავე მოწინავეების დაჯილდოება „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებით

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნებით დააჯილდოვა საკოლმეურნეო მეცხენეობაში მომუშავე ზოოტექნიკოსები, მეცხენეობის ფერმების გამგეები, მეჯინიბეები და მეჯოგეები, რომლებმაც თავიანთი მუშაობით მიაღწიეს მეცხენეობის განვითარების 1950 წლის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებას, ცხენების საერთო სულადობის გადიდებას. დაჯილდოებული არიან: ვ. პ. ალანია — ფოთის რაიონის სოფლის მეურნეობის განყოფილების მეცხენე ზოოტექნიკოსი, გ. გ. ბაღდასარიანი — ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნის“ მეჯინიბე, ნ. ზ. ბიუკლიანი— გაგრის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგე, გ. პ. გოცირიძე — თეთრი წყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგე, ს. ზ. გერგედავა — გულრიფშის რაიონის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის“ უფროსი მეჯინიბე, ვ. ე. ჯოქია — ფოთის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ მეცხენეობის ფერმის გამგე, ს. ი. ჯიბუტი—წალკის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი ზოოტექნიკოსი, ვ. ე. ძაგნიძე — ვანის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მეცხენე ზოოტექნიკოსი, კ. ს. ეგოროვი — თეთრი წყაროს კოლმეურნეობა „შრომის“ უფროსი მეჯინიბე, იბრაჰიმ ბაირამ-ოღლი — საქართველოს სახელმწიფო საჯინიბოს მეჯინიბე, გ. რ. იმერლიშვილი — კაჭრეთის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინიზმის“ მეჯინიბე, გ. გ. კვარაცხელია — ფოთის კოლმეურნეობა „კომუნიზმის“ მეჯინიბე, ი. ს. ლომთათიძე — ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი ზოოტექნიკოსი, ი. ი. ნუჟნოვი — თეთრი წყაროს რაიონის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მეჯინიბე, მ. ა. ფარესიშვილი — თელავის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჯინიბე, პ. ბ. პაპუაშვილი—თეთრი წყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეჯინიბე, ს. ა. პოპოვი — ბოლნისის რაიონის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგე, ა. ჯ. ხუხუა — ცხაკაიას რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხენეობის ფერმის გამგე, ა. გ. შამუგია—ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ მეჯინიბე, ი. ა. შარაბიძე — თეთრი წყაროს რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მეჯინიბე, ს. ს. ჩატურლიევი — წალკის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მეჯინიბე, ი. დ. ჭითანავა — ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მთავარი ზოოტექნიკოსი, გ. ი. პოპიაშვილი — წითელწყაროს რაიონის ჩხუბიანიშვილის სახელობის კოლმეურნეობის მეჯინიბე, ვ. ე. ალავიძე — ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მეცხენე ზოოტექნიკოსი, ს. თ. ქორქოლიანი—თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე, ა. ნ. ოთარაშვილი — თელავის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მეცხენე ზოოტექნიკოსი, ს. ვ. რამიშვილი — თბილისის გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მეცხენე ზოოტექნიკოსი, კ. ი. ხარაჯიევი — თეთრი წყაროს რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების მეცხენე ზოოტექნიკოსი, შ. ე. ცხოვრებაშვილი — თბილისის გარეუბნის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის უფროსი მეჯინიბე.

ამ დღეებში საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაჯილდოებულებს გადასცა სამკერდე ნიშნები. დაჯილდოებულებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს და პირობა დადეს მომავალში უფრო ენერგიულად იმუშაონ საკოლმეურნეო მეცხენეობის განვითარებისათვის.

## აჯამეთის ნაკრძალი

ხუთი წელია, რაც არსებობს აჯამეთის ნაკრძალი. ნაკრძალის დაარსების მიზანია ამ ტერიტორიაზე შემონახული იმერეთის მუხისა და ერთეულებად გაბნეული ძელქვის დაცვა, მათი მოვლა-პატრონობა, გამრავლება და გავრცელება.

იმერეთის მუხა და ძელქვა განთქმულია მერქნის განსაკუთრებული სიმაგრით. გარდა მუხის და ძელქვისა, აჯამეთის ნაკრძალის ძირითადი ტყის ჯიშებიდან აღსანიშნავია: რცხილა, ჯაგრცხილა, იფანი, თელა და სხვა; ბუჩქებიდან—კუნელი, იელი; მახვიარებიდან — ღვიძი, სურო და სხვა. სულ აჯამეთის ნაკრძალს 3.400 ჰექტარი უჭირავს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჯამეთის მუხნარი მემამულეების სათარეშო ადგილი იყო. საბჭოთა ხელისუფლების დროს იგი საერთო-სახალხო მნიშვნელობის ობიექტად გადაიქცა. ნაკრძალში ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა წარმოებს მისი მოვლა-დაცვისა და ძვირფასი ხის ჯიშების შესწავლისათვის. გამომუშავებულია აჯამეთის მუხის თვისებებისა და მისი განახლების აგროღონისძიებები, ხდება ძელქვის ხელოვნურად გაშენების, აგრეთვე ჩაისა და ევკალიპტების საუკეთესო ჯიშების შესწავლა და მათი საცდელად გაშენება. გარდა ამისა, მიმდინარეობს ველურ ჯიშებზე (პანტა, მაჟალო, ტყემალი, ბალამწარა) კულტურული ხეხილის დამყნობა, რამაც კარგი შედეგი მოგვცა.

ნაკრძალის ტერიტორიაზე ყურადღებას იპყრობს აკადემიკოს ლისენკოს მეთოდით მუხის ბუდობრივი ჩათესვით გაშენებული საცდელი ნაკვეთები და სხვ.

აჯამეთის ნაკრძალის კოლექტივი, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ამოცანა, ძალ-ღონეს არ დაიშურებს ნაკრძალის სანიმუშოდ მოვლა-დაცვისათვის.

**გ. ჯიქურაძე**
აჯამეთის ნაკრძალის დირექტორი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# „ხევის პატარძალი“

საქართველოს ბოლშევიკების მე-14 ყრილობამ აღნიშნა, რომ ქართული საბჭოთა პროზა ჩვენი ლიტერატურის ჩამორჩენილი უბანია, რომ პროზა ჯერ კიდევ სუსტად წარმოსახავს ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომას და ცხოვრებას. ყრილობამ მწერლობას ამოცანად დაუსახა — გადააქციოს პროზა ჩვენი ლიტერატურის მთავარ ჟანრად. ქართველი პროზაიკოსები კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის წინაშე თავიანთი პატრიოტული მოვალეობის შეგნებით შეუდგნენ ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას ამ ამოცანის შესასრულებლად. უკანასკნელ წლებში ჩვენი ცნობილი მწერლების მიერ გამოქვეყნებული რამდენიმე მნიშვნელოვანი პროზაული ნაწარმოები თანამედროვე თემაზე და ნიჭიერი ახალგაზრდა პროზაიკოსების გამოჩენა უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ქართულ პროზას ყველა პირობა აქვს უახლოეს პერიოდში გახდეს ჩვენი ლიტერატურის მთავარი ჟანრი.

უკანასკნელ ხანს ქართულ პროზას შეემატა რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება „საბჭოთა მწერლის“ მიერ 1951 წელს გამოცემული ახალგაზრდა მწერლების მოთხრობათა კრებული.

ახალგაზრდა სამწერლო კადრების ღირსება უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათი შემოქმედების თემა ჩვენი თანამედროვეობაა. თემატურად აქტუალურ საკითხს შეეხება ახალგაზრდა მწერლების მოთხრობების კრებულში დაბეჭდილი ნაწარმოებები. ამასთან ამ ახალგაზრდებს ყოფნით ძალა და ნიჭი, რომ ეს აქტუალური თემა მხატვრულად წარმოსახონ. რ. ჯაფარიძის, ი. ურუშაძე-შვილის, თ. გოგოლაძის, ე. მაისურაძის და რ. ბექაიშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ახალგაზრდა ნიჭიერ პროზაიკოსებთან, რომელთაც ყველა მონაცემი აქვთ იმისათვის, რომ გაიზარდონ და დაწინაურდნენ.

კრებულში განსაკუთრებით გამოირჩევა რევაზ ჯაფარიძის მოთხრობა „ხევის პატარძალი“. ამ ნაწარმოებში მწერალი საკოლმეურნეო სოფლის სურათს გვიხატავს. მოქმედების ადგილად არჩეულია ზემო იმერეთი და ამ ფონზე ნაჩვენებია ომისშემდგომი წლების კოლმეურნეთა შემოქმედებითი შრომა, მათი მრავალფეროვანი ცხოვრება. მწერალი მკითხველის ყურადღებას საგანგებოდ აჩერებს სოფლის ელექტროსადგურის მშენებლობაზე, და რომანის ძირითადი კონფლიქტიც ამის მიხედვით იშლება.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით ბრეგაძე ომის წინ დაწყებული და დიდი სამამულო ომით შეწყვეტილი სოფლის ელექტროსადგურის მშენებლობის განახლების წინააღმდეგია, მას ამაზე უფრო გადაუდებელი სამუშაოები ეგულება (ჭაობების დაშრობა, ახალი ფართობის ათვისება და სხვ.). პარტორგანიზაციის მდივანი არჩილი კი მოითხოვს დაუყოვნებლივ შეუდგნენ ელექტროსადგურის მშენებლობას. ამ გზით მიაჩნია მას შესაძლებლად კოლმეურნეობის შემდგომი წინსვლა. არჩილს ხალხი ემხრობა. დავითი იძულებულია დაემორჩილოს კოლმეურნეთა საერთო კრების გადაწყვეტილებას. მწერალი ამ ფონზე მოხერხებულად შლის კონფლიქტს. რომანის პირველი ღირსება ამ კონფლიქტის ოსტატურად გამოყენებაში უნდა ვეძებოთ.

ამ ბოლო ხანებში ჩვენს ლიტერატურაში ხშირად გაისმის ხმები, თითქოს ერთი მისწრაფებისა და ინტერესის მქონე საბჭოთა ადამიანებს კონფლიქტი არ შეიძლება ჰქონდეთ. რასაკვირველია, ეს მოსაზრება სწორი არ არის. ერთი მისწრაფების საბჭოთა ადამიანები შეიძლება სხვადასხვა საკითხს სხვადასხვანაირად წყვეტდნენ. მიზნის დასახვა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ერთფეროვანი იყოს მისი განხორციელების გზა. მას შემდეგ, რაც მოცემულია სწორი პოლიტიკური ხაზი, საკითხის სწორი გადაჭრა, საქმის წარმატებას წყვეტს პრაქტიკული ორგანიზაციული მუშაობა. აქ იჩენს თავს ხელმძღვანელობის, ორგანიზაციის როლი. საქმის ორგანიზაციის უნარი, როგორც ცნობილია, ყველას ერთნაირი როდი აქვს. ის, ვინც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად გადაჭრის ორგანიზაციულ საკითხს, ხორცსაც შეასხამს დასახულ მიზანს და ამის მიხედვით ნათელი გახდება მისი უნარიც. სწორედ ასე აქვს წარმოდგენილი საკითხი ამ რომანში ახალგაზრდა ავტორს.

არჩილსა და დავითს, ორივეს „უყვარდა თავისი მშობლიური კოლმეურნეობა“. „ბევრი რამ განასხვავებდა ერთმანეთისაგან ამ ორ ძველ მეგობარს, მაგრამ ერთი კი ჰქონდათ საერთო: ორივე მათგანს გული შესტკიოდა საქვეყნო საქმისათვის“. მწერალი გვიხატავს ორივე ამ გმირს, როგორც საბჭოთა ადამიანებს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ დავითზე უფრო სწორად არჩილი ერკვევა საკოლმეურნეო მშენებლობის ამოცანებში. კონფლიქტიც ამაზეა აგებული.

თხრობა იწყება უბრალოდ, მარტივად, შემდეგ თანდათანობით რთულდება სიუჟეტურად და ამის მიხედვით მოქმედება და გმირების მდგომარეობაც დაძაბული ხდება. ასევე იზრდება მკითხველის ინტერესი ნაწარმოებისადმი, გმირებისადმი. რევაზ ჯაფარიძეს ეხერხება საინტერესო ხასიათების შექმნა, გმირის დამახასიათებელ თვისებათა გამოყოფა, ამ თვისებათა ზუსტი ჩვენება. ავტორი არსებითი დეტალების გამოყენებით გმირის მოქმედებასა და სულიერ სამყაროს გადაგვიშლის ისე, რომ ყოველთვის ბუნებრივ მდგომარეობას უნარჩუნებს მათ. რომანში გამოყვანილი საბჭოთა ადამიანები, კოლმეურნეები დახატული არიან მაღალი ღირსებითა და სულიერი სამყაროთი, რაც მთავარია, ისინი ტრაფარეტული სქემები როდი არიან, არამედ ფრიად განსხვავებული საკუთარი თვისებებით ცოცხლობენ და მოქმედებენ. მწერალი გაბედულად გვიხატავს საბჭოთა ადამიანების მდიდარ სულიერ სამყაროს, პოულობს იმ განსხვავებას, რომლის მიხედვითაც მის გმირებს დამოუკიდებელი სახე აქვთ. მწერალი ხელოვნურად კი არ ალამაზებს სინამდვილეს, არამედ მთელი მისი მრავალფეროვნებითა და წინააღმდეგობებით ხატავს. ამიტომაც კოლმეურნეობისაგან ერთხანს „განზე გამდგარი, ქირაზე მოხეტიალე, ჯიუტი“ სარდიონი, ძველი ცხოვრებისაგან ხელმოცარული მოხუცი თადულა, კოლმეურნეობისათვის თავდადებული ვასილ ნავაძე როდი „ჰგვანან“ ერთმანეთს. ისინი განსხვავებულად ფიქრობენ და განსხვავებულად მოქმედებენ, მაგრამ ერთი საერთო მისწრაფება აქვთ: თავდადებული შრომით ცხოვრობენ და ხორცშესხმულ საბჭოთა ადამიანებს წარმოადგენენ. ამიტომ გვიყვარს ჩვენ ეს ადამიანები, გვაღელვებს მათი ბედი. მათ შესახებ შეგვიძლია იგივე ვთქვათ, რასაც ავტორი ამბობს ვასილ ნავაძის შესახებ: „აბა როგორ არ ეყვარებოდა ყველას ბუნებისა და ადამიანის ეს ერთგული მეგობარი“.

რომანში განსაკუთრებით ძლიერად არის დახატული პარტორგანიზაციის მდივანი არჩილი. ომგადახდილი, შრომასა და მეგობრობაში სამაგალითო არჩილი რომანის ცენტრალური გმირია. პრინციპული, კეთილშობილი, პარტიის პოლიტიკაში კარგად გარკვეული არჩილი კოლმეურნეების საყვარელი ადამიანია. იგი დავითს, რომელსაც ცხოვრების ისეთივე სკოლა აქვს გავლილი, როგორც არჩილს, სწორი ინიციატივით, უნარით, ალღოთი სჯობია. ამიტომაც თვითონ დავითსაც ხშირად სურს მიბაძოს თავის მეგობარს, რომელთანაც ხშირად კონფლიქტი აქვს. რომანში შესანიშნავად არის გადმოცემული არჩილისა და დავითის პირველი კონფლიქტი, პირველი უთანხმოების სურათი. აქ გრძნობთ, რა მაღლა დგას არჩილი დავითთან შედარებით. საბჭოთა ახალგაზრდობის თვისება, მისი მაღალი მორალური სახე სწორადაა გადმოცემული არჩილის ბიოგრაფიასა და ხასიათში.

რომანს მრავალი ღირსება აქვს, რაც ავტორის ნიჭისა და ოსტატობის უტყუარი საბუთია. რომანის ასეთ ღირსებად ჩვენ მიგვაჩნია ბუნებრივი თხრობა. აქ ყველა წვრილმანში ჩანს არა მარტო ღრმა ცოდნა ცხოვრებისა, არამედ მისი სწორად დანახვის და ბუნებრივად გადმოცემის უნარიც. მრავალფეროვანი სიტყვიერი მასალა, ცოცხალი თხრობა აძლევს მწერალს საშუალებას დაიმორჩილოს მკითხველი, შეიყვანოს გმირების ცხოვრების სამყაროში, დააინტერესოს მათი ბედით, მათი შრომითა და ცხოვრებით. რომანში მთელი რიგი ყოფითი სურათები, შრომის, ცხოვრების, ბუნების ეპიზოდები გაცოცხლებულია დიდი მხატვრული ძალით, მაგრამ ისე, რომ არსად მათ ბუნებრივობა არ აკლია. აქ სურათი ცოცხლობს მთელი მისი მრავალფეროვნებითა და ბუნებრივობით. მწერალმა იცის, როგორ დააკავშიროს სურათი სურათთან. სიუჟეტის ამ ბუნებრივ დინებაში თხრობა ყოველთვის ხვავიანი და ბარაქიანია. ხვავი და ბარაქა ყოველთვის ნიჭისა და შრომის ჯილდოა.

რომანი ხასიათდება დიალოგის ბუნებრივობით. აქ ჩანს პროზაიკოსის შესანიშნავი ოსტატობა. დიალოგებში ყოველთვის დიდი უშუალობაა მიღწეული. დიალოგი უფრო გამჭვირვალეს და ნათელს ხდის სიუჟეტის მიმდინარეობას.

რომანში ყველგან ჩანს საბჭოთა სინამდვილის ცოდნა, ჩვენი ცხოვრების ცოდნა. ეს ცოდნა ჩანს მაშინ, როცა ავტორი საკოლმეურნეო სოფელს ხატავს. ეს ცოდნა ჩანს მაშინაც, როცა ის ახალი ადამიანების, საბჭოთა ადამიანების სულიერ სამყაროს გვიჩვენებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ მხრივ არჩილისა და ირინეს რომანული თავგადასავალი. დიდი უშუალობით და ბუნებრივობით ხასიათდება ქალ-ვაჟის ეს რომანული ურთიერთობა. რა სუფთა, რა სპეტაკი და ბუნებრივია არჩილისა და ირინეს სიყვარული! ეს ნამდვილად საბჭოთა ახალგაზრდა ქალ-ვაჟის ტიპიური თავგადასავალია. არჩილისა და ირინეს რომანულ თავგადასავალს შეუნელებელი ინტერესით მისდევს მკითხველი.

ყველაფერი ის, რაც ზემოთ ვთქვით, როდი ნიშნავს იმას, რომ რ. ჯაფარიძის ეს ნაწარმოები სავსებით უნაკლო იყოს. არა. ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის ამ პირველ რომანს მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს. ჩვენ გვინდა მათგან რამდენიმე აღვნიშნოთ: რომანის პირველი ნაკლი, ჩვენი აზრით, ის არის, რომ იგი ზუსტად არ ეყრდნობა ჩვენი მრავალფეროვანი მეურნეობის რომელიმე წამყვან დარგს. საკოლმეურნეო ცხოვრება დახატულია ზოგადად, კონკრეტული სამეურნეო პრობლემების დაუსახავად. აუცილებელი იყო, და მწერალს ამის საშუალება უთუოდ ჰქონდა, რომ რომანი სოფლის მეურნეობის წამყვან პრობლემასთან დაეკავშირებინა. რომანის გეოგრაფიული ადგილი ზემო იმერეთია; ამის მიხედვით საკოლმეურნეო ცხოვრების ფონი მევენახეობის პრობლემა უნდა გამხდარიყო. ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ რომანის ავტორი გვერდს უვლიდეს საერთოდ მევენახეობის საკითხს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს არ არის აღებული როგორც პრობლემა და ამის მიხედვით რომანის მოქმედების წარმმართველად გამოყენებული. ამ ნაკლის გამოსწორება შეიძლება, მით უმეტეს, რომ ჯერ საქმე გვაქვს მხოლოდ რომანის პირველ ნაწილთან.

ზემოთ ვთქვით, რომ რომანის კონფლიქტი ემყარება დავითისა და არჩილის ურთიერთობას, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რომანში ესკიზურად, ძუნწად არის დახასიათებული დავითი. ამიტომ არჩილთან დაპირისპირებაში მას თავიდანვე შექმნილი აქვს სავსებით არახელსაყრელი მდგომარეობა. საჭიროა კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახე უფრო ხორცშესხმული გახდეს. ეს კი არ შეანელებს კონფლიქტს, არამედ უფრო მძაფრს გახდის მას.

რომანის ენა საერთოდ კარგია, მაგრამ მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი უნდა ერიდოს დიალექტებისა და პროვინციული გამოთქმების უხვად გამოყენებას. ამ მხრივ რომანი მკაცრ გადახედვას მოითხოვს.

ცოცხალი, ხალხური სალაპარაკო ენა ლიტერატურული ენის გამდიდრების დაუშრეტელი წყაროა. მწერალი ვალდებულია ფხიზლად ადევნოს თვალი ახალ ენობრივ მოვლენებსა და გამოთქმებს და იქიდან შეარჩიოს მხოლოდ ისეთები, რომლებიც აუცილებელია ლიტერატურული ენისათვის. მწერალი უნდა ერიდოს, მაშინაც კი, როცა გმირს ალაპარაკებს, ყოველგვარ დიალექტიზმს და პროვინციალიზმს. სოციალისტური რეალიზმის პრინციპზე დაფუძნებული ჩვენი მწერლობა ენის მაღალი კულტურისათვის, მისი სიწმინდისათვის დაუცხრომელი მებრძოლი უნდა იყოს.

რომანში არის ზოგი წვრილმანი ხასიათის ნაკლიც, მაგრამ ეს ნაკლოვანი მხარეები ვერ ჩრდილავენ რომანის საერთო ღირსებას. რევაზ ჯაფარიძის „ხევის პატარძალი“ ქართული საბჭოთა პროზის კარგი შენაძენია.

**ს. ჭილაია**

# ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ალბანელი ხალხისადმი

ტირანა, 24 ივნისი. (საკდესი). ალბანეთის შრომის პარტიის დაარსების მე-10 წლისთავის გამო პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა ალბანელი ხალხისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

10 წლის წინათ, 1941 წლის 8 ნოემბერს შეიქმნა კომუნისტური პარტია, ამჟამად ალბანეთის შრომის პარტია. პარტია შეიქმნა ძლევამოსილი ლენინ — ბოლშევიკების პარტიის ორგანიზაციულ პრინციპებზე და მიიღო მისი მოწინავე რევოლუციური თეორია — მარქსიზმ-ლენინიზმის თეორია. იგი გახდა ახალი ტიპის პარტია, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, მშრომელი მასების ინტერესების წარმომადგენელი და მათი უფლებების მტკიცე, თანმიმდევრული დამცველი.

პარტიის ხელმძღვანელობით ჩვენმა ხალხმა განახორციელა გარდატეხა თავის ისტორიაში. პარტიის მიერ აღზრდილი ხალხი მისი ხელმძღვანელობით დაირაზმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ფრონტში ოკუპანტებისა და გამცემლების წინააღმდეგ საბრძოლველად. ხალხი ენით გამოუთქმელი გმირობით იბრძოდა რიცხობრივად ჭარბი მტრების წინააღმდეგ, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ...

... თავისუფლებელი ბრძოლისათვის, რადგან ისინი ხედავდნენ, რომ ამ ბრძოლას ჩვენი ხალხის განთავისუფლება მოჰყვებოდა. ჩვენი ხალხის განთავისუფლების შემდეგ ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ყოველი მათი ცდა მარცხით მთავრდებოდა და მუდამ მარცხით დამთავრდება. იმპერიალისტებმა თავიანთი ბელგრადელი აგენტების მეშვეობით სცადეს ჩვენს საქმეებში ჩარევა, რომლის მიზანი იყო ჩვენი ქვეყნის კოლონიზაცია და ხალხის დამონება, მაგრამ ეს ჩარევა სავსებით ჩაიფუშა.

შრომის პარტია ალბანელი ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორია. სტალინურმა საბჭოთა პოლიტიკამ შეუძლებელი გახადა ის, რომ ინგლის-ამერიკის იმპერიალისტებს თავიანთ კოლონიად გადაექციათ ალბანეთი. ჩვენი პარტიისა და ჩვენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებამ გააცამტვერა მთელი მათი ღონისძიებანი ამ მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ძვირფასმა და უზომო დახმარებამ, ი. ბ. სტალინისა და ბოლშევიკების პარტიის ზრუნვამ ჩვენი ხალხისათვის ...

...

ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტი

# კორეის ამბები

## კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 25 ივნისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობით, დღეს სახალხო არმიის ჯარები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობდნენ ბრძოლებს ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენტთა ჯარებისა და ლისინმანელთა ჯარების წინააღმდეგ.

# დიდი ბრიტანეთის კომპარტიის განცხადება ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ კორეელი ხალხის ბრძოლის წლისთავთან დაკავშირებით

ლონდონი, 25 ივნისი. (საკდესი). დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა 24 ივნისს გამოაქვეყნა განცხადება ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ კორეელი ხალხის გმირული ბრძოლის წლისთავთან დაკავშირებით. განცხადება გმობს კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე თავდასხმას, რასაც შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ, და ...

...

„ჩვენ საზეიმოდ ვცისრულობთ ვალდებულებას, — ნათქვამია განცხადების დასასრულს, — არ დავშვიდდეთ მანამდე, სანამ ჩვენი ქვეყნის მთელი ხალხი არ შეიგნებს, თუ რა საშინელ დანაშაულობაში მონაწილეობს იგი. ჩვენ შევასრულებთ ჩვენს როლს, რათა უზრუნველვყოთ კორეის მშვიდობა, რათა მისმა ხალხმა შეძლოს დაუბრუნდეს მშვიდობის აღდგენის ამოცანას, რათა ინგლისელი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნდნენ, ხოლო შეთქმულება, რომლის მიზანია მესამე მსოფლიო ომის მოხდენა, ჩაიფუშოს“.

# ამერიკელი ადმირალის მომავალი გამგზავრება ახლო აღმოსავლეთში

ბეირუთი, 25 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ორიანი“ ლონდონში ლიბანის დესპანისაგან მიღებული ცნობების მიხედვით იუწყება, ატლანტიკის ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილისა და ხმელთაშუა ზღვის ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ადმირალი კარნი უახლოეს ხანში გაემგზავრება ახლო აღმოსავლეთში. ამ მოგზაურობის დროს მას სამხედრო ხასიათის მოლაპარაკება ექნება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მთავრობებთან.

# დემოკრატიული გაზეთები დასავლეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირის ჩაშლის შესახებ

## პოლონეთი

ვარშავა, 25 ივნისი. (საკდესი). პოლონეთის გაზეთები ვრცელ კომენტარს უძღვნიან დასავლეთის სახელმწიფოთა დელეგატების მიერ საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა პარიზის წინასწარი თათბირის ჩაშლას.

გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ სტატიაში „მშვიდობის მტრები“ წერს, რომ თითქმის ოთხ თვეს გრძელდებოდა პარიზში ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი. თითქმის ოთხი თვის განმავლობაში უპირისპირდებოდა ამ კონფერენციაზე ერთმანეთს თანამედროვე მსოფლიოს პრინციპულად განსხვავებული ორი პოლიტიკური გზა: მშვიდობის გზა და ომის გზა, მსოფლიოს ყველა ხალხთა ინტერესების დაცვის საბჭოთა პოლიტიკა და მონოპოლისტთა და სიკვდილის მეფაბრიკეთა ვიწრო ჯგუფის ინტერესების დაცვის იმპერიალისტური პოლიტიკა. იმპერიალისტმა პოლიტიკოსებმა ერთხელ კიდევ ჩაშალეს საერთაშორისო შეთანხმების მიღწევის ცდა. დასავლეთის სახელმწიფოები თათბირის დაწყებიდანვე ცდილობდნენ მის ჩაშლას. მათ არ სურდათ შეეტანათ დღის წესრიგში ატლანტიკის პაქტისა და ...

... ქვამია: ამ თათბირის ჩაშლის ძირითადი მიზეზია ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს არ სურდათ ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო საკითხი ატლანტიკის პაქტისა და ამერიკის სამხედრო ბაზების შესახებ.

ასეთი მოქმედება, აღნიშნულია სტატიაში, ერთხელ კიდევ უჩვენებს მთელ მშვიდობისმოყვარე კაცობრიობას, რომ ამერიკელ იმპერიალისტებსა და მათ ევროპელ თანამოაზრეებს სრულიადაც არა სურთ ევროპაში მშვიდობის განმტკიცება. უნდა ვიფიქროთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა სსრ კავშირის წინადადება ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირის მოწვევის შესახებ მიიღეს მხოლოდ იმისათვის, რომ შეცდომაში შეეყვანათ თავიანთი ქვეყნების ხალხები. მინისტრების მოადგილეთა თათბირის მსვლელობაში ისინი გამუდმებით ქმნიდნენ დაბრკოლებებს, რათა ჩაეფუშათ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მოწვევა.

...

## ჩინეთი

პეკინი, 25 ივნისი. (საკდესი). გაზეთმა „გუანმინჟიბაომ“ გამოაქვეყნა მოწინავე სტატია „ამერიკელმა იმპერიალისტებმა ჩაშალეს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი“. სტატიაში ნათ...

... რების მიზეზით, მაგრამ ეს ვერ შეარყევს ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი.

მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა, წერს დასასრულ გაზეთი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმა მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯის — საბჭოთა კავშირის გარშემო და გაძლიერდა მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში.

# პარიზიდან გამოემგზავრა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირის მონაწილე საბჭოთა დელეგაცია

პარიზი, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს პარიზიდან გამოფრინდა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირის მონაწილე საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. გრომიკო.

ორლის აეროდრომზე დელეგაცია გამოაცილეს სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში პავლოვმა და საბჭოთა კავშირის პარიზის საელჩოს შემადგენლობამ.

დელეგაცია გამოაცილა აგრეთვე საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის განყოფილების ხელმძღვანელმა ბ-ნმა სეიდუმ.

# სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო ბერლინს ჩავიდა

ბერლინი, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს პარიზიდან ბერლინს ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ა. გრომიკო საბჭოთა დელეგაციასთან ერთად, რომელიც მონაწილეობას იღებდა ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარ თათბირში.

შენეფელდის აეროდრომზე ა. გრომიკოს შეხვდნენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გეორგ დერტინგერი, საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანი ანტონ აკერმანი და სხვა პირები.

საბჭოთა მხრივ შეხვედრას დაესწრნენ საბჭოთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ი. თ. სემიჩასტნოვი, სსრ კავშირის დიპლომატიური მისიის მეთაური ელჩი გ. მ. პუშკინი და სხვები.

# პრეზიდენტ ტრუმენის გამოსვლა

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. (საკდესი). დღეს პრეზიდენტმა ტრუმენმა ტალაჰომში (ტენესის შტატი) წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოლიტიკისადმი მიძღვნილი სიტყვა.

თავის სიტყვაში პრეზიდენტმა ტრუმენმა თვალსაჩინო ადგილი დაუთმო საომარ კონფლიქტს კორეასთან.

პრეზიდენტ ტრუმენს არაფერი განსაკუთრებული და ახალი არ უთქვამს კორეაში წარმოებული ომის საკითხზე. მაგრამ იგი იძულებული გახდა გაეხსენებინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა წარმომადგენლის ი. ა. მალიკის წინადადება კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

# დასავლეთ გერმანიის დაქირავებული არმიის შექმნის გამო

ბერლინი, 25 ივნისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება, დასავლეთ გერმანიის გაზეთ „რაინიშე პოსტის“ ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა გადმოსცა ცნობა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ განახორციელონ დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღება და დასავლეთ გერმანიის „ვერმახტის“ შედგენის გეგმა, აგრეთვე სამხედრო-საჰაერო ძალების შექმნის გეგმა. „ვერმახტს“ თავდაპირველად ეყოლება 250 ათასი ჯარისკაცი, სამხედრო-საჰაერო ძალებს კი — 6.000 თვითმფრინავი.

როგორც კორესპონდენტი იუწყება, გენერალმა ეიზენჰაუერმა ევროპიდან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს „საფრანგეთში არჩევნების დამთავრებისთანავე“. ახლა გამოირკვა, რომ მიღწეულია შეთანხმება ...

... კონკრეტულ წინადადებებზე, რომლებიც „ფართოდ დაგეგმილი შეიარაღების საფუძველს“ ქმნიან.

შემდეგ სააგენტო აღნიშნავს, რომ მალე მიიღებენ კანონს, რომელიც სამხედრო სამსახურის ვალდებულებას დააკისრებს დასავლეთ გერმანიის თვითეულ მოქალაქეს.

ამავე დროს ბონში აღნიშნავენ, რომ ადენაუერის სამხედრო ექსპერტებისა და დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ექსპერტების პეტერსბერგის მოლაპარაკების შედეგად მიღწეული შეთანხმება ჩამოყალიბდეს ატლანტიკის პაქტის შეიარაღებული ძალების ფარგლებში ოთხი საარმიო კორპუსი, სახელდობრ: ერთი სატანკო კორპუსი და სამი ქვეითი კორპუსი. თვითეულ კორპუსს ეყოლება სამი დივიზია.

# „პეტრე სარაჯიშვილი“

## გორის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლი

26 ივნისს გორის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა დედაქალაქის მშრომელებს უჩვენა ა. შირვან-ზადეს 4-მოქმედებიანი დრამა „პატივის ნება“ (თარგმანი ა. დავითაშვილისა).

სპექტაკლის დადგმა და მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ვ. ყუშიტაშვილს.

მონაწილეობდნენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ა. ივერიელი, მსახიობები ე. არაქელოვი, ქ. ბოჭორიშვილი, შ. იმერლიშვილი, ნ. სალარიძე, რ. მამისთვალოვი, ს. გოქჩუროვი, გ. ცხვარიაშვილი, გ. ცოცქიშვილი, ნ. ბეროზაშვილი და ვ. გაბისიანი.

დღეს, 27 ივნისს, წარმოდგენილი იქნება ე. პეტროვის „მშვიდობის კუნძული“ (დამდგმელი ვ. ყუშიტაშვილი).

# საქართველოს პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში

25 ივნისს ლ. ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო შეჯიბრება მძლეოსნობაში საქართველოს 1951 წლის პირად-გუნდურ პირველობაზე. შეჯიბრებაში მონაწილეობს საზოგადოება „დინამოს“, „სპარტაკის“, „შრომითი რეზერვების“, პროფკავშირებისა და საბჭოთა არმიის 200-ზე მეტი საუკეთესო სპორტსმენი.

...

შეჯიბრება 30 ივნისამდე გასტანს. შეჯიბრების მთავარი მსაჯი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ვ. სამსონაძე.

# სასპორტო საზოგადოებათა საქალაქო პირველობა ქართულ ჭიდაობაში

სამი დღის განმავლობაში თბილისის კიროვის სახელობის პარკში მიმდინარეობდა თბილისის სასპორტო საზოგადოებათა საქალაქო პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა სასპორტო საზოგადოებების „მეცნიერების“, „ნავერწკლის“, „მუშაკის“, „დინამოს“, „მეშახტის“, „წითელი დროშის“ და „შრომითი რეზერვების“ ნაკრები გუნდები — სულ 49 საუკეთესო მოჭიდავე. სასპორტო საზოგადოება „მეცნიერების“ გუნდი შედგებოდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენებისაგან.

გუნდური პირველობა და გარდამავალი პრიზი მოიპოვა „მეცნიერების“ ნაკრებმა გუნდმა. მეორე ადგილზე გამოვიდა სასპორტო საზოგადოება „ნავერწკლის“ კოლექტივი, მესამე ადგილზე „დინამო“; შემდეგ მიდიან „წითელი დროშა“, „მუშაკი“ და სხვ.

...

შეჯიბრების დასასრულს „მეცნიერების“ გამარჯვებულ გუნდს გადაეცა გარდამავალი პრიზი.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

# საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

28 ივნისს

6.45 — ქართული ხალხური სიმღერები. 9.20 — კონცერტი რეისების და მაქსაკოვას შესრულებით. 18.10 — ქართული მუსიკის კონცერტი. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.30 — თბილისის „დინამოს“ და „სპარტაკის“ ...

...

# სავალდებულო დადგენილება

## თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომისა „ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნებიდან სამშენებლო ნაგვისა და ზედმეტი გრუნტის გატანის შესახებ“

1951 წ. 8 ივნისი.

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო გრუნტის გატანის დროს სანიტარული პირობების დაცვის მიზნით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომი ადგენს:

1. წინადადება მიეცეთ იმ საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც მშენებლობას ეწევიან ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე, სამშენებლო ნაგავი და ზედმეტი გრუნტი გაიტანონ მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, საყრდენი კედლების უკან ...

...

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1951-52 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: კავკასიური ენები, აღმოსავლური ენები (ენათმეცნიერების ინსტიტუტი), ქართული საბჭოთა ლიტერატურა, ლიტერატურის თეორია (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი), საქართველოს ისტორია, არქეოლოგია (ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი), საბჭოთა ხელოვნება (ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი), ფილოსოფიის ისტორია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი (ფილოსოფიის ინსტიტუტი), ფსიქოლოგია (დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი), სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ფინანსები (ეკონომიკის ინსტიტუტი), ეთნოგრაფია (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი), საარქივო საქმე (საქართველოს ლიტერატურული მუზეუმი), მატერიალური კულტურის ისტორია (ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი), ...

...